# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 3 ივნისი. 2022 წ. №69 (9407) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდლობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

# ევროკავშირში – მხოლოდ ჩვენი ტრადიციებით!

● **საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრატისლავაში გლობალური უსაფრთხოების (GLOBSEC) ფორუმის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

● **იტალიის** დედაქალაქ რომში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა შეხვედრა გამართა იტალიის უნივერსიტეტებისა და კვლევების მინისტრთან მარია კრისტინა მესასთან.

● **საქართველოს** ეროვნულ გვარდიასა და ნორვეგიის შიდა გვარდიას შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა გაფორმდა.

● **პარლამენტის** თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაცია, ირაკლი ბერაიას ხელმძღვანელობით, ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრს ( NATO ENSEC COE) ეწვია, სადაც ცენტრის სტრუქტურას, მისიასა და პრიორიტეტებს გაეცნენ.

4

## რეალურად რა შესაძლებლობებს ხსნის კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის?!



### ისევ „ვაშინგტონის კრემლის“ დამსახურებათა შესახებ...



## ბატონო კარლ და ქალბატონო კელი, საქართველო სახელმწიფოა!!!

3

## რატომ აშანტაჟებენ ბიძინა ივანიშვილს?



3

რაში დასჭირდათ უკრაინისთვის ევროკავშირის კანდიდატობის შეთავაზება. გაჩაღებული ომის დროს უკრაინისთვის ამ სტატუსის მიცემა იმდენად არასერიოზულია, რომ მცირე სოლიდარობის აქტადაც კი შეუძლებელია ჩაითვალოს. ეს ამბავი რომ გავიგე, მეგობრების წრეში მაშინვე ვთქვი, რომ ევროკავშირის თემა ამერიკელებმა საქართველოსთვის მოიგონეს და შემოგვიგდეს.

## ილია ელოშვილის ოჯახი თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს



„ჩვენს ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა. ორმაგად დიდი ტკივილია ჩვენთვის სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვერსია თვითმკვლელობის შესახებ, რასაც ოჯახი კატეგორიულად გამორიცხავს, რადგან არანაირი წინაპირობა ან რაიმე ნიშანი იმისა, რომ ილია ყოფილიყო ღრმა დეპრესიულ მდგომარეობაში არ არსებობდა. გასულ სამშაბათს, 31 მაისს, მკურნალობის და რეაბილიტაციის შემდეგ იგი გავიდა სამსახურში. ამას ადასტურებენ მისი კოლეგებიც და მეგობრებიც, ვისთანაც ილიას შეხება ჰქონდა სამშაბათს, უშუალოდ ტრაგედიის წინა დღეს გვიან საღამომდე და ვისთანაც ჰქონდა დაგეგმილი შეხვედრები უშუალოდ გუშინ, ოთხშაბათს, 1 ივნისს, გარდაცვალების დღეს და მთელი მიმდინარე კვირის განმავლობაში.

ვფიქრობთ, რომ დაუშვებელი იყო, ტრაგედიიდან ორიოდე საათში პოლიციის მაღალჩინოსნის მხრიდან გაკეთებული განცხადება სუიციდის შესახებ, რამაც უშუალოდ ბიძგი მისცა ამ ვერსიის და ათასგვარი ჭორის გავრცელებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოჯახის და განსაკუთრებით ილიას არასრულწლოვანი შვილების მდგომარეობის გათვალისწინებით, მივმართავთ ყველას თხოვნით, შეწყდეს სუიციდზე და ნებისმიერ სხვა ვერსიაზე საჯარო საუბრები სოციალურ ქსელებში თუ ტელეეთერებში, ვიდრე არ დასრულდება მიმდინარე გამოძიება და არ დაიდება ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნა.

ესაა ჩვენი ოჯახის უმორჩილესი სათხოვარი და ყველა კეთილგონიერი ადამიანი, იმედია, ამას გაითვალისწინებს. მადლობას ვწირავთ საზოგადოებას, ვინც იზიარებს ჩვენს განუსაზღვრელ ტკივილს“.

ეს განცხადება გუშინ ილია ელოშვილის ოჯახმა გაავრცელა.

## ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი კვლავ მძლავრი კულტურის კერა გახდება

5






# ირაკლი ღარიბაშვილი – ბრატისლავაში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრატისლავაში გლობალური უსაფრთხოების (GLOBSEC) ფორუმის გახსნის ღონისძიებას დაესწრო,** — ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

**ფორუმი, რომელსაც სლოვაკეთის დედაქალაქი ამ დღეებში მასპინძლობს, GLOBSEC-ის პრეზიდენტმა რობერტ ვასმა გახსნა. გახსნის ღონისძიების მონაწილე მაღალი რანგის სტუმრებს სიტყვით მიმართეს სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზუზანა ჩაპუტოვამ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.**

**„GLOBSEC-ის 2022 წლის, რიგით მე-17 ფორუმის მთავარი თემაა მსოფლიოში უსაფრთხოებისა და ქვეყნების მდგრადობის განმტკიცების გზებზე მსჯელობა, უკრაინის მხარდასაჭერად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ევროპული სამეზობლოს გაძლიერება, ასევე, დასავლეთის რესურსების მობილიზაცია ქვეყნების მდგრადობის განსამტკიცებლად. ფორუმის გახსნას სლოვაკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ედუარდ ჰეგერი და ფორუმში მონაწილე ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები, სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურები დაესწრნენ. GLOBSEC 2022-ი დელეგატებს 67 ქვეყნიდან მასპინძლობს, მათ შორის 10 პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრია, ასევე, იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები“.**

## ირაკლი კობახიძე: ევროპის „სახალხო პარტია“ ისევ ნაცების ტექსტებით საუბრობს!

**არათუ აქცენტები შესთავაზა „ნაცმოძრაობამ“ EPP-ის, მთლიანად ტექსტი იყო მათი მომზადებული, რაც მითითებული იყო კიდეც ამ ტექსტზე; ამ განცხადებიდან, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ დაწერა და შემდეგ EPP-ის სახელით გამოქვეყნდა, პირდაპირ იკითხება მიზანი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ ამ დროის განმავლობაში, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ისინი აწარმოებენ კამპანიას კანდიდატობის წინააღმდეგ,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გადაცემაში „იმედი LIVE“ — განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის ძალიან ცუდი პრაქტიკა, რაც ზოგადად ამ ევროპულ პარტიაშია ჩამოყალიბებული, რაც, კობახიძის თქმით, **„სხვათა შორის, არ არის დამახასიათებელი სხვა ევროპული პარტიებისთვის“.**

**„აქ მოქმედებს სამწუხარო პრინციპი, რომელიც ისტორიულად ცნობილია, რომ ვიღაც ცუდი ბიჭია, მაგრამ არის ჩემი ცუდი ბიჭი. ეს ძალიან ცუდი პრაქტიკაა, ცოტა რბილად ვთქვი, „ნაცმოძრაობასაც“ უფრო უხეში ტერმინები შეესაბამება. რეალობა ეს არის, სამწუხაროდ, EPP-ისთვის ეს არის დამახასიათებელი, შეუძლია ხელი დააფაროს ისეთ პოლიტიკურ პარტიასაც კი, თუ არის წევრი, რომელსაც უმძიმესი დანაშაულები აქვს ჩადენილი და „ნაცმოძრაობა“ ამის ყველაზე ნათელი მაგალითია. ეს არის ძალიან სამწუხარო. ეს არის ერთი მხარე და მეორე მხარე არის ის, რომ ეს იყო სრული ლუსტრაცია. ამ განცხადებიდან, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ დაწერა და შემდეგ EPP-ის სახელით გამოქვეყნდა, პირდაპირ იკითხება მიზანი და ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ ამ დროის განმავლობაში, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ისინი აწარმოებენ კამპანიას კანდიდატობის წინააღმდეგ. არც ერთი სიტყვით არ არის მოწოდება ევროკავშირის მიმართ, რომ საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი, „ნაცმოძრაობამ“ ეს არ ჩათვალა საჭიროდ საკუთარ ტექსტში.**

**გარდა ამისა, მთელი ტექსტი ისეა აგებული, რომ სწორედ საპირისპირო გადაწყვეტილებისკენ უბიძგებს ევროკავშირს. აქედან ჩანს სინამდვილეში რა არის ნაცმოძრაობის ნამდვილი მიზანი. ეს არის მათთვის ერთგვარი ბოლო იმედი“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა გააფორმეს



**საქართველოს ეროვნულ გვარდიასა და ნორვეგიის შიდა გვარდიას შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა გაფორმდა, რომელიც მომდევნო 5 წლის განმავლობაში თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. დოკუმენტს ეროვნული გვარდიის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა რომან ჯოხაძემ და ნორვეგიის შიდა გვარდიის მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა მარტენ ეგენმა მოაწერეს ხელი.**

მხარეებმა შეხვედრისას ორი ქვეყნის გვარდიებს შორის თანამშრომლობის საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება და საქართველოს ეროვნული გვარდიის განვითარებისა და გაძლიერების გზებზე იმსჯელეს.

ხუთწლიანი გეგმა მიზნად ისახავს ბატალიონის, ბრიგადისა და ეროვნული გვარდიის შტაბის დონის სამეთაურო-საშტაბო სწავლებების (CPX) დაგეგმვასა და აღსრულებას, ტერიტორიული რეზერვის ქვედანაყოფების მომზადებისთვის კონცეფციის შემუშავებასა და განხორციელებას, ასევე რეზერვისტთა წვრთნებზე დაკვირვებას. გენერლებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოს ეროვნულ გვარდიასა და ნორვეგიის შიდა გვარდიას შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

## პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრს გაეცნო

**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაცია, ირაკლი ბერაიას ხელმძღვანელობით, ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრს ( NATO ENSEC COE) ეწვია, სადაც ცენტრის სტრუქტურას, მისიასა და პრიორიტეტებს გაეცნენ.**



დელეგაციის წევრებს ცენტრის დირექტორმა, პოლკოვნიკმა დარიუს უჟკურაიტისმა უმასპინძლა. შეხვედრის მონაწილეებმა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს და მოსაზრებები გაუზიარეს. ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრი 2012 წლის ივლისს დაარსდა. ამჟამად, მისი, როგორც ფართოდ აღიარებული საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაციის მიზანი ოპერაციული ენერგეტიკის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვალიფიციურ ექსპერტთა რჩევების შემუშავება და უზრუნველყოფაა. ცენტრის მისიაა, ენერგოუსაფრთხოების კუთხით, დროული და სრულფასოვანი საექსპერტო დახმარება გაუწიოს ნატოს სტრატეგიულ შენაერთებს, ალიანსის ქოლგის ქვეშ მოქმედ სხვა ორგანიზაციებს, სახელმწიფოებს, პარტნიორებს და სხვა სამოქალაქო და სამხედრო ერთეულებს ალიანსის შესაძლებლობათა განვითარების პროცესის, მისიის ეფექტურობისა და თავსებადობის მხარდაჭერით უახლოეს, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრი კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაიასთან ერთად, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და თეონა აქუბარდიამ და კომიტეტის წევრმა ალექსანდრე ელისაშვილმა მოინახულეს.

## მიხეილ ჩხენკელი იტალიელ მინისტრს შეხვდა

**იტალიის დედაქალაქ რომში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა შეხვედრა გამართა იტალიის უნივერსიტეტებისა და კვლევების მინისტრთან მარია კრისტინა მესასთან.**

შეხვედრის დროს მხარეებმა უმაღლესი განათლების მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ საქართველოსა და იტალიის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას გააღრმავებენ ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით.

მიხეილ ჩხენკელმა მარია კრისტინა მესას საქართველოს განათლების სისტემის მეგა-პროექტის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ მიაწოდა დეტალური ინფორმაცია. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორი ბატონი ბიძინა ივანიშვილია. სწორედ მისი და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა მსოფლიო მასშტაბის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სივრცე.

მიხეილ ჩხენკელის შეფასებით, უნივერსიტეტის მაღალ სტანდარტსა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხს განაპირობებს ის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ დარგში აკადემიური პროგრამების შექმნას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. მინისტრმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამ ეტაპზე მოქმედი პროგრამები მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ანალოგს წარმოადგენს. მისი თქმით, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ლექციებს ქართველ პროფესორებთან ერთად უცხოელებიც კითხულობენ და უნივერსიტეტის კარი ღიაა იტალიელი პროფესორებისა და სტუდენტებისთვის.

თავის მხრივ, იტალიის უნივერსიტეტებისა და კვლევების მინისტრმა მარია კრისტინა მესამ დადებითი შეფასება მისცა საქართველოს განათლების სისტემის მეგა-პროექტს და ამ მიმართულებით თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ახალი ჩარჩო პროგრამა NATO ENSEC COE-ის ფარგლებში, ქართველ და იტალიელ მეცნიერებსა და მკვლევრებს შორის თანამშრომლობის საკითხებს, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.





ისევ „ვაშინგტონის კრემლის“ დამსახურებათა შესახებ...

# ბატონო კარლ და ქალბატონო კელი, საქართველო სახელმწიფოა!!!



ავადსახსენებელი კარლ ბილდტის ცნობილმა პროტეჟემ, **ბატონმა კარლ ჰარცელმა,** აშკარა სასოწარკვეთილების ფაზაში რომ ასრულებს თავის არცთუ დიპლომატიურ მისიას, 30 მაისს, მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, დიპლომატიურ საფანელში ძუნწად ამოვლებული ფრაზებით – კითხვის ნიშნებიო, ტრაექტორიაო,.. ესაო, ისაო... – **გამოგვიცხადა, მე თუ მკითხავთ, საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს არ იმსახურებსო(?!).**

ელჩ ჰარცელის მთელი „მოღვაწეობა“, მისი უფლებამოსილების სამი წლის განმავლობაში, იმისკენ იყო მიმართული, როგორმე მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის. უფრო კონკრეტულად, **მისი და მისი მთავარი პარტნიორის, ელჩ დეგნანის ამოცანა გახლდათ, ქართველი ხალხის ცხრაგზის ნდობაგამოცხადებული ხელისუფლება, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ჩაენაცვლებინათ დასავლურ სამყაროში გამეფებული ნეოლიბერალური მიმდინარეობისთვის სასურველი ობიექტ-სუბიექტით, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელისუფლებაში უნდა მოსულიყო ყველაფერზე ხელისმომწერი, ანუ უსამშობლო, უჯიშო, უზნეო, ურწმუნო, უგულო და ერთი სიტყვით, პრინციპებისა და ღირებულებებისგან დაცლილი ე.წ. პოლიტიკური ძალა.**

„სასოწარკვეთილების ფაზა“ ბატონი ჰარცელის იმ მდგომარეობას ჰქვია, ფარული მიზნის ვერმიღწევის შედეგად, **მისიის დეკლარირებული ამოცანები რომ დაავიწყა და ყველაფერი, უნებლიეთ, საჯაროზე რომ გამოაქვს.** საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ჰარცელ-დეგნანის ტანდემის რეაქციებს თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დიპლომატიური თავშეკავების უაღრესად დაბალ დონეს აღმოვაჩენთ და ესეც გაწბილებისა და სასოწარკვეთილების ნიშანია.

ემოციური მხარე იქით იყოს და ქართველი საზოგადოებისთვის უფრო მძიმედ აღსაქმელი და მისაღები ის გახლავთ, რომ შინაარსთან დაკავშირებით გაცილებით რთულად არის საქმე. ისეთი უსამართლო, ისეთი ხელის კვრის ტოლფასი ნარატივები მოედინება უწყვეტ ნაკადად, რომ **საქართველოს სათავეში მთელი თავისი არსით დემოკრატიული განვითარებისა და სხვა ევროპული ღირებულებების ერთგული ხელისუფლება რომ არ იყოს,** მის ნაცვლად ვინმე ნეიტრალურს რომ ეპყრას მართვის სადავეები, უიმედობისგან თავგზა არეულებს, **„ეს არის თქვენი დასავლეთის?“ ძახილით, რუსულ-ბელარუსულ კავშირში შეიძლება ამოგვეყო თავი.**

„ევროკავშირი მზარდ შეშფოთებას გამოხატავს ქვეყნის ტრაექტორიით“ – სვამს დიაგნოზს ბატონი კარლის კარლი და... ტრადიციულად, ისევ აღქმებით გაჯერებული საყვედურებით გვავსებს. მის მიერ გამოთქმული „პრეტენზიებიდან“ **მხოლოდ ერთზე გავამახვილებ ყურადღებას, იმის საილუსტრაციოდ, რომ „მეგობრები“ „სალდატსკი პრიჩინებზე“ (საბჭოთა ოკუპაციის პერიოდის „ქართული“ გამოთქმაა) არიან გადასულები:**

ევრომისიის უმაღლესი წარმომადგენელი „შეშფოთებას ვერ მალავს“, რადგან, არც მეტი არც ნაკლები, **თურმე „კითხვები გაჩნდა დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით“(???)**

ბატონო ჰარცელ, რომელ არჩევნებთან დაკავშირებით? **ყველა თქვენმა კოლეგამ და ყველა საერთაშორისო დამკვირვებელმა სამართლიანად და კონკურენტულად რომ აღიარა?** თუ იმის გამოყოლილში ხართ, დასავლური გრანტებით დაფინანსებულმა ნაცენჯეოებმა ციფრების მანიპულაციით „კითხვები რომ გააჩინეს“ და კობახიძემ და მდინარაძემ უკან რომ შეტენეს ორ დღეში, თუ ორ კვირაში? (მკითხველს ბოდიშს ვუხდი უხეშობისთვის, მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად ვერ იგებენ). არა, ბატონო ელჩო, **თქვენი და ქალბატონი დეგნანის წარმოსახვაში არსებულ, იმ „გაშვებულ შესაძლებლობას“ მისტირით, თქვენი „რუმბივით გაგორებული ფალავნებისთვის“, ნაცმავნებლებისთვის რომ უნდა დაგებრუნებინათ მართვის პულტი. გიჭირთ იმასთან შეგუება, რომ ქართველი ხალხის გონიერებამ წარსულში დაბრუნების გეგმა A-საც გადაასხა ცივი წყალი და მასზე „ჩინური წებოთი“ მიკრულ გეგმა B-საც.**

გასული წლის სექტემბრის თვიდან მოყოლებული, სულ **იმაზე ვსაუბრობ,** ხან პრევენციის მიზნით, ხან კიდევ ფაქტის წინაშე მყოფი, **რომ „დემოკრატიული ცვლილებები“ „მეგობრებს“ საქართველოს თემით მანევრირების გაადვილებისთვის სჭირდებათ-მეთქი.** არგუმენტებთან ერთად უხვად დაგროვილმა ფაქტებმაც იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ **დიდი თამაშის ინტერესიდან გამომდინარე, რასაც „მსოფლიოს ახალი გადანაწილება“ ჰქვია, საქართველოს „საზარბაზნე ხორცის“ როლი ჰქონდა განსაზღვრული.** „ვაშინგტონის კრემლის“ უკრაინელი გამხმოვანებლების მიერ მრავალგზის გამოთქმულმა უკმაყოფილებამ, **„ამ ხელისუფლებას ომის გამჩაღებლის არაფერი ეტყობა, მიშა რომ ყოფილიყო მაშინ გენახათ, რამდენ უკრაინელ ქალსა და ბავშვს გადავარჩენდით ქართველი ქალებისა და ბავშვების ხარჯზეო“,** ყველაზე ურწმუნოებისთვისაც ნათელი გახდა, რა შარში გვიპირებდნენ გახვევას.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის დიდი გონიერებითა და დიდი მოთმინებით მეორე ფრონტი არ შედგა.** სამიოდე დღის წინ, კელი დეგნანის ბოლო პერიოდის „მოღვაწეობისადმი“ მიძღვნილ წერილში ვწერდი – **„საქართველოში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით** „მეგობრები“ ახალ „მიგნებას“ ჩაეჭიდნენ. ეს გახლავთ რაიმე, თუნდაც თითიდან გამოწოვილი, თუნდაც სულაც მოგონილი მიზეზით, **საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატობაზე უარის თქმა“,** რასაც უნდა მოჰყვეს დღემდე არნახული მასშტაბის უკმაყოფილების ტალღის აგორება ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით და არსებული პოლიტიკური სტატუს-კვოს შეცვლით და მერე... მერე, მიდი-მოვდივარ... სოხუმსა და ცხინვალში „გასეირნებით“...

**ერთი სიტყვით, ამას კატასტროფა ჰქვია.**

იმავე წერილში, ყველა ფაქტისა და არგუმენტის შეჯერებით, მივდიოდი უმძიმეს დასკვნამდე, რომ **„ევროპულ გზაზე უკრაინასა და მოლდოვაზე გაცილებით წინ მყოფ საქართველოს განაცხადს თუ რაიმე დაბრკოლება შეხვდა, ეს იქნება „ვაშინგტონის კრემლის“ „დამსახურება“,** როგორც დიდი გეგმის ნაწილი“. კარლ ჰარცელის ორშაბათის „თეზისებით“ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მეორე ფრონტის გეგმა ძალაშია. მაგრამ **ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის პრინციპული პოზიცია, რომელსაც ურყევად ვიცავთ ჩვენ, ქართველი საზოგადოება და რომელიც სრულად თავსდება ორ უაღრესად ტევად სიტყვაში –**

**საქართველო სახელმწიფოა!!!**

**საქართველო სახელმწიფოა!!!**

**საქართველო სახელმწიფოა!!!**

**ბიძინა დვალი**

31.05.2022 წ.

## ზაზა შათირიშვილი: რატომ აშანტაჟებენ ბიძინა ივანიშვილს?

**დიდი აჟიოტაჟია ამტყდარი ევროკავშირის თემის გარშემო. ყველა საუბრობს იმაზე, რომ უკრაინამ და მოლდოვამ კანდიდატის სტატუსი შეიძლება მიიღონ და ჩვენ – არა. ხელისუფლება ასეთ შესაძლო შედეგს ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს აბრალებს, ხოლო ოპოზიციის რადიკალური ნაწილი – ხელისუფლებას.**

**სინამდვილეში, საქმე სულ სხვა რამეშია.**

თავიდანვე გამიკვირდა, რაში დასჭირდათ უკრაინისთვის ევროკავშირის კანდიდატობის შეთავაზება. გაჩაღებული ომის დროს უკრაინისთვის ამ სტატუსის მიცემა იმდენად არასერიოზულია, რომ მცირე სოლიდარობის აქტადაც კი შეუძლებელია ჩაითვალოს. ეს ამბავი რომ გავიგე, მეგობრების წრეში მაშინვე ვთქვი, რომ ევროკავშირის თემა ამერიკელებმა საქართველოსთვის მოიგონეს და შემოგვიგდეს.

რუსეთის ეშინიათ და ამიტომ ნატოს შეთავაზება ვერც კი გაბედეს. ევროკავშირი მარტივი იყო, რადგან მათთვის არც უსაფრთხოების რისკებთან არის დაკავშირებული, არც ფინანსურ დანახარჯებთან და არც რაიმე სხვა დისკომფორტთან.

სცენარი მარტივი იყო – მას შემდეგ, რაც უკრა-






ინა და მოლდოვა შეიტანდნენ განაცხადს კანდიდატობაზე, საქართველოც იძულებული გახდებოდა ანალოგიური ნაბიჯი გადაედგა. ახლა კი, როდესაც ხელისუფლებამ განაცხადი შეიტანა, უკვე დაიწყეს ოპოზიციის ხელით ხელისუფლების დაშანტაჟება, ანუ ერთი ხელით ბიძინა ივანიშვილს აშანტაჟებენ, რისთვისაც “კრედიტ სუისის“ თემა მოიგონეს და გადარიცხვებს უჩერებენ, ხოლო მეორე ხელით ხელისუფლებას აშანტაჟებენ, რისთვისაც ევროკავშირის თემა მოიგონეს.

რადგან ივანიშვილი ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ შვეიცარიიდან გადარიცხვების შეფერხება ისევ გრძელდება, რაც ერთი კვირის წინ მისმა ადვოკატმაც დაადასტურა. შესაბამისად, ჩანს, რომ „კრედიტ სუისი“ კიდევ დიდხანს არ დაკარგავს აქტუალობას, როგორც ივანიშვილის დაშანტაჟების ინსტრუმენტი.

ევროკავშირის კანდიდატობა ბევრს რომ არაფერს ნიშნავს, წესით, საქართველოში უკვე ყველამ უნდა იცოდეს. თურქეთი, ალბანეთი, მაკედონია, სერბეთი და მონტენეგრო დიდი ხანია კანდიდატები არიან, თუმცა, მათი უმეტესობა, უკვე 10 წელიწადზე მეტია, ამაოდ ელის ევროკავშირის წევრობის ახლო პერსპექტივასაც კი.

თუმცა, კანდიდატის სტატუსის ფიქტიურობის მიუხედავად, ისიც ადვილი გამოსაცნობია, რომ წინასწარ დაწერილი სცენარის აღსრულება საზოგადოებაში სერიოზულ მღელვარებას გამოიწვევს.

იხ. 4 გვ.

# ზაზა შათირიშვილი: რატომ აშანტაჟებენ ბიძინა ივანიშვილს?

(მესამე გვერდიდან) გათვლა ახალგაზრდებზეა, რომლებიც აღშფოთდებიან იმით, რომ ევროკავშირმა ხელისუფლებას კანდიდატობაზე უარი უთხრა, გამოვლენ ქუჩაში და მერე ნიკანორ მელიათი, მამუკა ხაზარაძითა და ნინო ბურჯანაძით დაწყებული და გიგა მაქარაშვილით, მიშა მშვილდაძითა და ვახო სანაიათი დამთავრებული, ნაციონალური მოძრაობის სრული სპექტრი ეცდება ეს მღელვარება რევოლუციაში გადაზარდოს.

**სრულიად აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ ამერიკელებისთვის მიუღებელია. ამას ერთადერთი მიზეზი აქვს – ადამიანის ბუნებაა, რომ გერს ყოველთვის საკუთარი შვილი ურჩევნია. სააკაშვილი, ბოკერია, გვარამია და უსუფაშვილი მათთვის შვილები არიან. ეს არის მათი აგენტურა, ახალი ქართველი ღამურები, რომლებიც წლების განმავლობაში გამოზარდეს და რომლებსაც ნებისმიერ არაპატრიოტულ ნაბიჯზე მოაწერინებენ ხელს. სწორედ ამიტომაა, რომ ამდენი წელია ამერიკელები ხელისუფლებას არ დახმარებიან. საქართველოს ვითომ წელიწადში 100 მილიონ დოლარს აძლევენ და იმასაც თითქმის მთლიანად საკუთარ ენჯეოებს ახარჯავენ.**

ევროკავშირის თემაც სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ ხელისუფლების აყირავების სხვა ინსტრუმენტი არ აქვთ. საქართველოს დაფინანსებას რომ აძლევდნენ, ფულით დააშანტაჟებდნენ, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, რასაც არ გვაძლევენ, რას გაგვიჩერებენ.

ასი პროცენტით ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ივნისის ბოლოს უკრაინასა და მოლდოვას არაფრისმომცემ ევროკავშირის კანდიდატობას მისცემენ, საქართველოს კი ამაზეც უარს ეტყვიან. შემდეგ, გამოვლენ ნაციონალები, აიყოლიებენ ახალგაზრდებს და მათ ირაციონალურ ემოციებს ამოფარებულები პარლამენტში შეჭრას კიდევ ერთხელ ეცდებიან.

მოკლედ, ქვეყნისთვის სახიფათო მოვლენების განვითარებას უნდა ველოდოთ. დიდია იმის ალბათობა, რომ ამერიკელები ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან. ამის შედეგები კი, ქვეყნისთვის ძალიან მძიმე იქნება. რაც მთავარია, ამ ყველაფრის კულმინაცია რევოლუცია არ არის.

კულმინაცია საქართველოში ომია, რომელიც ახლა ამერიკას უკრაინაში რუსეთის დასამარცხებლად სასიცოცხლოდ სჭირდება. ნაციონალური მოძრაობა კი, ომისთვის უკვე გამზადებულია და ნებისმიერ დავალებაზე ხელის მომწერია, როგორი დამღუპველიც არ უნდა იყოს ეს დავალება საქართველოსთვის.

ეს ომი მე პირადად საქართველოსთვის სრულიად საბედისწერო მგონია, თორემ ამერიკის გულისთვის ვინ არ იომებდა. სწორედ ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მოსახლეობა გამოიჩენს მისთვის ჩვეულ სულიერ სიმტკიცეს და სიბრძნეს და არ დაუშვებს ქვეყანაში ამ მძიმე სცენარის განვითარებას.

**ზაზა შათირიშვილი,**
**ფილოსოფოსი.**



# როცა ნახევარსიმართლის თქმაც მოტყუებულთა „გამოღვიძებას“ ნიშნავს!



## რეალურად რა შესაძლებლობებს ხსნის კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის?!

**ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მოლოდინის ფონზე, რჩება შთაბეჭდილება, რომ მმართველი გუნდი, რომელიც პარტნიორების მხრიდან, მათ შორის, სასამართლოსთან დაკავშირებით მწვავე კრიტიკისადმი მიმღებლობას არ ამჟღავნებს, საზოგადოების არასასურველი გადაწყვეტილებისთვის შემზადებას შეუდგა, ცდილობს რა, ერთის მხრივ, შესაძლო ნეგატიურ პასუხზე პასუხისმგებლობა მთლიანად ოპოზიციასა და ევროკავშირს დააკისროს, ხოლო მეორეს მხრივ, ერთგვარად დააკნინოს კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა და ეს საზოგადოებას შესთავაზოს, როგორც გზავნილი მხოლოდ გეოპოლიტიკურ კონტექსტში.**

არგუმენტად, რომ ევროკავშირი არ იღებს არავითარ ვალდებულებას, კანდიდატი ქვეყანა ევროკავშირში სტატუსის მინიჭებიდან რაიმე კონკრეტულ ვადაში გააწევრიანოს, მმართველი გუნდის თავმჯდომარემ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი მოიყვანა.

**„როგორც მოგეხსენებათ, თურქეთს 23 წლის წინ მიენიჭა კანდიდატის სტატუსი, თუმცა, ევროკავშირში მისი გაწევრიანების საკითხი ამ ეტაპზე საერთოდ არ დგას დღის წესრიგში. ჩრდილოეთ მაკედონიას 17 წლის წინ, მონტენეგროს 12 წლის წინ, სერბეთს 10 წლის წინ, ხოლო ალბანეთს - 8 წლის წინ მიენიჭა კანდიდატის სტატუსი“,** – თქვა ირაკლი კობახიძემ, მაგრამ არ უთქვამს ის, თუ რამ განაპირობა ამ ქვეყნების ხსენებულ ეტაპზე „გაყინვა“ და არც ის, თუ რა შესაძლებლობებს უხსნის სტატუსი ღარიბ ქვეყანას უკეთესი ცხოვრებისკენ სწრაფვაში.

**„როდესაც სერბეთმა კანდიდატის სტატუსი მიიღო (2012 წელს), ერთ-ერთ პირობად ჩადებულია ის, რომ მან კოსოვოსთან ურთიერთობები უნდა დაარეგულიროს. მონტენეგროს შემთხვევაში პრობლემები იყო მმართველობასა და ძალაუფლების გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა მონტენეგრო არის ქვეყანა, რომელიც ყველაზე წინაა წასული ამ პროცესში. რაც შეეხება ჩრდილოეთ მაკედონიის საკითხს, ეს უკავშირდება ორ თემას – მის სახელს (საბერძნეთი იმის გამო, რომ მას დიდი ხნის მანძილზე ერქვა მაკედონია და რეგიონიც აქვს იგივე სახელწოდების, მისგან სახელის გადარქმევას ითხოვს), ბულგარეთთანაც იყო დავა, რაც უკავშირდებოდა ეთნიკური უმცირესობების საკითხს.**



**კოსოვოსთან დაკავშირებით ევროკავშირი არაა ერთიანი – ბლოკის ხუთი წევრი არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას. ხოლო ბოსნიას და ჰერცეგოვინას აქვს უსერიოზულესი პრობლემები დემოკრატიის კუთხით – ყველა გამოქვეყნებულ ანგარიშში სწორედ ამაზეა აქცენტი. ალბანეთის შემთხვევაში პირობითი პოტენციური კანდიდატობის სტატუსი იდგა, თუმცა არჩევნების ჩატარების შემდეგ (2014 წელს) მიიღო სტატუსი და 2020 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები გაწევრიანების თაობაზე. რაც შეეხება თურქეთს, იქ ადამიანის უფლებების კუთხით საკმაოდ მძიმე ვითარებაა. გარდა ამისა, ევროკავშირის შიგნითაც არ არიან ჩამოყალიბებული, რა გზით და როგორ წავიდნენ წინ ამ ქვეყნებთან მიმართებით“,** – განმარტავს „აქცენტთან“ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელი **ვანო ჩხიკვაძე**.

რაც შეეხება კანდიდატის სტატუსით განპირობებულ პოტენციურ სარგებელს, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ამერიკულ-ქართული ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის საბჭოს წევრი **დიმიტრი ცქიტიშვილი** შიშობს, რომ მის მნიშვნელობას ქართული პოლიტიკური სპექტრი სათანადოდ ვერ იაზრებს:



**„კანდიდატობიდან წევრობამდე სვლა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესია: ფინანსურად მხარდაჭერილი უზარმაზარი პროექტები, ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური ცვლილებები, რეფორმების ტალღა, რაც ბევრად მეტია, ვიდრე აქამდე ჩატარებული ყველა კოსმეტიკური თუ ფუნდამენტური რეფორმა ერთად აღებული – ეს არის უზარმაზარი ტრანსფორმაციის, ქვეყნის განვითარების ფანტასტიკური შესაძლებლობა. თუმცა ვფიქრობ, დღეს ქვეყნის პოლიტიკოსების ნაწილი ვერ აცნობიერებს, ქვეყნისთვის რა შედეგები შეიძლება, მოიტანოს პოზიტიურმა გადაწყვეტილებამ. ჩვენ ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოგვიწევს დაფიქრება, რას ვუშვრებით ჩვენს ქვეყანას. ევროკავშირის მხარდაჭერის გარეშე მსგავსი მასშტაბის რეალური რეფორმების განხორციელება პრაქტიკულად, შეუძლებელია“.**

რაც შეეხება პოლიტიკურ განზომილებას, ვანო ჩხიკვაძე იზიარებს შეფასებას, რომ პოზიტიური გადაწყვეტილება, მათ შორის, იქნება ძლიერი პოლიტიკური გზავნილი, რომ ეს ქვეყნები ეკუთვნიან ევროპას და გრძელვადიან პერსპექტივაში გახდებიან ევროკავშირის წევრები: **„პრაგმატულ დონეზე კი ამ ქვეყნებისთვის შესაძლოა, ხელმისაწვდომი გახდეს სტრუქტურული ფონდები. ამდენად, თუ ფინანსურ მხარეზე გავამახვილებთ ყურადღებას, სტატუსმა შესაძლოა, ევროკავშირის მხრიდან მეტი თანხების მოცემის აუცილებლობა დააყენოს. ეს სტატუსი რამდენად დაგვიცავს რუსეთისგან, ამაში დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ აქ საუბარია განვითარებაზე. ამ შემთხვევაში კი ყველაზე კარგი იარაღი პირობითობაა: კანდიდატის სტატუსი არა მიზანი, არამედ საშუალება უნდა იყოს მიზნის მისაღწევად, გვქონდეს უკეთესი ქვეყანა, სადაც სასამართლო იქნება დამოუკიდებელი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტიანი, გვექნება სიტყვის თავისუფლება, ქუჩებში არ დევნიან მედიის წარმომადგენლებს, საქართველოს მოქალაქეები იცხოვრებენ უკეთესად – სწორედ ამისთვის გვჭირდება ევროინტეგრაცია და ევროკავშირი. ჩვენ ხომ უკეთესი ქვეყანა გვინდა, ევროინტეგრაციას კი ვხედავ იმ გზად, რაც გარანტირებულად მოიტანს ამ ცვლილებებს. ამის გათვალისწინებით, ცხადია, პირობითობის გარეშე ძალიან რთული იქნება ამ ცვლილებების განხორციელება“.**

ამ კონტექსტში ჩხიკვაძე იხსენებს რეფორმებს, რომელთაც შესაძლებელი გახადა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა და რომლითაც სადღეისოდ საქართველოს ათასობით მოქალაქე სარგებლობს:

**„ჩვენ ვნახეთ, რამხელა ტრანსფორმაციული ძალა აქვს პირობითობას: ვიზალიბერალიზაციას თან ახლდა პირობითობა და ბევრი რამ საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ამის გამო გააკეთა. სხვაგვარად ამ ცვლილებებს ვერ მივიღებდით. პროცესმა ხელი შეუწყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის ჩამოყალიბებას, საზღვრის მართვის გაუმჯობესებას და ა.შ. ჯილდოდ კი უვიზო მიმოსვლა მივიღეთ. ცხადია, ვიზალიბერალიზაცია კარგია და დღეს ამ შესაძლებლობით ვსარგებლობთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა ცვლილებები მოიტანა მან უშუალოდ ქვეყნის შიგნით. საქართველო არ გამხდარა შვეიცარია, მაგრამ ეს ქვეყანა უკეთესია რიგი მიმართულებებით, ვიდრე მანამდე იყო. და ეს ყველაფერი პირობითობას უკავშირდებოდა“.**

ჩხიკვაძე გამოდის შეხსენებით, რომ დემოკრატიული რეფორმები, მათ შორის კანონის უზენაესობა სჭირდებათ სწორედ რომ საქართველოს მოქალაქეებს, რათა თანამდებობრივი, ქონებრივი თუ წოდებრივი მდგომარეობით პრივილეგირებულ პირთა წინაშე დაუცველნი არ აღმოჩნდნენ.

**„აქცენტი“**

# ათასჯერ გაყიდულ-მიყიდულები!

## ბიძინა ივანიშვილი მართალი კაცია! იგი მართალია ქართულ პოლიტიკაშიც და მართალია ქართველ საზოგადოებასთანაც!

ჟურნალისტი გოჩა მირცხულავა სოცქსელში წერს:

**ბიძინა ივანიშვილი მართალი კაცია! იგი მართალია ქართულ პოლიტიკაშიც და მართალია ქართველ საზოგადოებასთანაც. გამოდის, რომ იგი მართალია ქვეყანასთან, რადგან ქვეყანასთან იდენტიფიცირებას ჩვენი ხალხი ისედაც პოლიტიკოსებით და ელიტარული საზოგადოების მეშვეობით ახდენს. სხვა მგრძნობელობა დაქვეითებული აქვს. შევეცდები ავხსნა, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს წასაკითხადაც და გასააზრებლადაც.**

**თითქმის არ არის საქართველოში პოლიტიკოსი, რომელსაც ივანიშვილის ვალი არ ადევს, რომელიც მას თამაშის წესებზე საჯაროდ ან კულუარულად არ დათანხმდა. თითქმის არ გყავს ცნობილი ადამიანი, რომელმაც ივანიშვილისგან ბოძებული სიკეთით არ ისარგებლა.**

**საკმაოდ დიდი ნაწილი ამ ადამიანებისგან ჩუმად არის. დანარჩენები კი ვინც „ყვაყვალებს“ (გადასარევია მდგომარეობის ეს მეგრული შესატყვისი) ამას უგულოდ, მოჩვენებითად და სახის შესანარჩუნებლად აკეთებს, თორემ ეგენიც რას წარმოადგენენ ყველამ იცის. დარჩა ძალიან მცირე ნაწილი, რომელიც ვითომ მედგრად უტევს ივანიშვილს და ცხოვრებისა და ყოფის, აზროვნების წესებს უწუნებს. ეს კატეგორია ყველაზე მეტად ამაზრზენია და აი რატომ... ივანიშვილით რომ მუცელმაძღრობდა იმ ადამიანს არანაირი მორალური უფლება არ აქვს მას დასცინოს, ინტელექტი თუ განათლება დაუწუნოს, პოლიტიკის წარმოების წესებზე ვაი -ვიშის დემონსტრირება მოუწყოს.**

**თან როგორც გასულმა 9 წელმა (!) დაადასტურა, ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ივანიშვილის დარი უნარების მატარებელი ვერ აღმოჩნდა. ჰოდა, რომ ვერ აღმოჩნდა, მაინც ვერ მიხვდნენ საკუთარი მუცელღმერთობით როგორ ვნებენ ქვეყანას. ეს გახლავთ უბედურება და არა ივანიშვილის ყოფნა პოლიტიკაში თუ მის მიღმა.**

**ეჰ, ის დიდი აქციები თქვენ გგონიათ ისე რა იშლებოდა — ვალებს ისტუმრებდნენ ბიჭები და ახალ სიკეთეებს იღებდნენ მეტწილად.**

**ის ამ ვითარებასაც აუღებს ალღოს ბევრად უკეთ, ვიდრე ქართული პოლიტიკური კლასი ერთად აღებული და ეს ივანიშვილის სიდიადეზე კი არა, დანარჩენების პოლიტიკური-ინტელექტუალურ სტაგანციაზე მეტყველებს.**

**ერთი სიტყვით, ჩვენი ცუდი დღევანდელი ყოფის მიზეზი ნამდვილად არ გახლავთ ივანიშვილი, ჩვენი ცუდი ყოფის მიზეზი ჩვენი კომფორმიზი და სიხარბეა.**

**ქართულ პოლიტიკურ კლასს (ოპოზიციას), რომ ეუბნები, წადით სახლში! გეუბნებიან — ვინმე გიშლის მოსვლას? კი! თქვენი ყოფნა პოლიტიკაში უშლის ხელს ამ ქვეყანას და ვიდრე თქვენ — ათასჯერ გაყიდულ-მიყიდულები ხართ პოლიტიკაში, ნებისმიერ ახალს დასვრით.**

**ახლა, ყველაზე მეტად იცით რა მენანება? ჩემს მიერ გადახდილი გადასახადი, რომელსაც არც მეტი, არ ნაკლები ის პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები ხრავენ, რომლებიც ცალკე ბიძინას ფულით გაზულუქდნენ და ახლა მისგან დაქნეულები მე და უამრავ მოქალაქეს გვაზიან კისერზე როგორც წურბელები.**

**„ოცნება“? აი, ყველაზე მეტად რომ ვერ იტანთ, „ოცნების“ ის წევრი უფრო ღირსეულია, თუნდაც იმიტომ, რომ სადაც ჭამს, იქ არ ისაქმებს და ვინც აჭმევს, იმას არ დასცინის.**



**იძახეთ ხიხო, იძახეთ... ხიხოები ჩვენ ვართ — ხალხი, თქვენ რომ გიტანთ და ახლა კიდევ გაპურებთ!..**

გოჩა მირცხულავა

## მუზეუმის შენობის რეაბილიტაციისა და ექსპონატების სხვა სივრცეში გადატანის პროცესთან დაკავშირებით ეროვნული მუზეუმი და კულტურის სამინისტრო ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ



# ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი კვლავ მძლავრი კულტურის კერა გახდება

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა უკვე მრავალი წელია, უმძიმეს მდგომარეობაშია, რამაც რეალური საფრთხე შეუქმნა მასში დაცულ უნიკალურ კოლექციებს. მათივე ცნობით, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების აუცილებელი პირობაა, უმოკლეს ვადებში დაიწყოს შენობის დაცლა და ფონდების, მათ შორის საგანძურის, დროებითი ევაკუაცია ალტერნატიულ უსაფრთხო სივრცეში.

**„შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი განძთსაცავია, ვინაიდან მასში დაცულია ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები — შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერისა და მოზაიკის, ქანდაკების, ხეზე კვეთის ნიმუშები, XVIII-XIX სს-ების ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების, რუსული, თანამედროვე ქართული სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კოლექციები, არქიტექტურული ანაზომებისა და ნახაზების უმდიდრესი კოლექცია, ფოტო და ნეგატივების ფონდი. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ოქროს ფონდს, სადაც წარმოდგენილია ექსპონატები ძვ. წ. V ათასწლეულიდან XX ს. ჩათვლით, მათ შორის უნიკალური არქეოლოგიური მასალა, VIII-XIX სს-ის ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის, ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ხელნაწერები, იარაღი, ჭურჭელი, საიუველირო ნაწარმი, რიტუალური დანიშნულების საეკლესიო ნივთები, მხატვრული ნაქარგობის ნატიფი ნიმუშები.**

**მუზეუმის შენობა აგებულია XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს. შენობას, როგორც თბილისის ევროპული არქიტექტურის ერთ-ერთ პირველ ნიმუშს და კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულ უძრავ ძეგლს, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 20 ნოემბრის №834 ბრძანებულებით განსაზღვრული აქვს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.**

**ხელოვნების მუზეუმი ამ შენობაში 1952 წელს განთავსდა. მას შემდეგ, შენობაში კაპიტალური სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა, რამაც განაპირობა მისი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა. ვითარება არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც ხელოვნების მუზეუმი ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში 2005 წლიდან მოექცა. შესაბამისად, შენობა უკვე მრავალი წელია, უმძიმეს მდგომარეობაშია, რამაც რეალური საფრთხე შეუქმნა მასში დაცულ უნიკალურ კოლექციებს.**

**ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2021 წლიდან დაიწყო მუშაობა შენობის სრული გამაგრებითი და სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების მიზნით. ინფრასტრუქტურის სრული განახლება, რომელსაც კულტურის სამინისტრო ისახავს მიზნად, უზრუნველყოფს მუზეუმის უნიკალური კოლექციების საერთაშორისო სტანდარტებით დაცვას, როგორც საფონდო საცავებში, ისე საექსპოზიციო სივრცეებში.**

**მოცემული მიზნის მისაღწევად, აუცილებელ პირობად მივიჩნევთ, რომ დაგეგმილი სამუშაოების დროულად დაწყების მიზნით, უმოკლეს ვადებში დაიწყოს შენობის დაცლა და ფონდების, მათ შორის საგანძურის, დროებითი ევაკუაცია ალტერნატიულ უსაფრთხო სივრცეში.**

**ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, სახელმწიფო მუზეუმებსა და საცავებში არსებული საეკლესიო საგანძური წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი ზრუნვის საგანს, ხელოვნების მუზეუმის საგანძურთან დაკავშირებული ყოველგვარი ქმედება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოსა და მის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან შეთანხმებით. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს მიმდინარე პროცესებზე როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკლესიის სრულ პასუხისმგებლობას, ნდობას პროცესისადმი და ურთიერთშეთანხმებულ ქმედებებს.**

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ UNESCO-სთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, საქართველოში 2021 წელს მოვლინებულმა ექსპერტებმა, პირველ ეტაპზე, შეისწავლეს საგანძურში განთავსებული ექსპონატების მდგომარეობა, მოამზადეს დასკვნა, რის საფუძველზეც, უცხოელი ექსპერტების მიერ საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით, ბოლო რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს მუშაობა იმ ექსპონატების პრევენციულ კონსერვაციაზე, რომელთა მდგომარეობა საჭიროებდა გადაუდებელ დახმარებას მათ ტრანსპორტირებამდეძ.**

**შემუშავებულია რეკომენდაციები საგანძურის ექსპონატების შესაბამის სივრცეებში ეტაპობრივად, უსაფრთხოდ გადატანასა და განთავსებასთან დაკავშირებით.**

**„არაერთი ექსპონატი ტრანსპორტირებისთვის მზადაა, ხოლო ევაკუაციის პროცესი ეტაპობრივად უკვე დღეიდან დაიწყება. მუზეუმის შენობის დაცლის პროცესის დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ოქტომბრამდე.**

**ექსპონატები დროებით სხვადასხვა სივრცეში განთავსდება, შესაბამისი სამუზეუმო სტანდარტების დაცვით.**

**რაც შეეხება საგანძურის ექსპონატებს, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების მოსაზრების საფუძველზე, შერჩეულ იქნა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის ყოფილი სივრცე, რომელიც სარგებლობაში გადაეცა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს და მის მფლობელობაში დარჩება მომავალშიც. მოცემულ სივრცეში დამონტაჟებულია ტემპერატურისა და ტენიანობის მაკონტროლებელი, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემები.**

**საგანძურის კოლექციის გადაადგილება განხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების მონაწილეობით, ასევე, მაღალი კომპეტენციის, სხვადასხვა პროფილის ქართველი და უცხოელი სპეციალისტების, მათ შორის, ექსპონატთა უსაფრთხო გადაადგილების სპეციალისტის ჩართულობით, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარები და გამოცდილება ამ მიმართულებით. დეტალურად იქნება გაწერილი ექსპონატების გადასატანად მოსამზადებელი სამუშაოებიც.**

**ტრანსპორტირების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ექსპონატების გადაადგილებისას უზრუნველყოფენ მათ დაცულობას. ტრანსპორტირების პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, ხელოვნების მუზეუმს განსაკუთრებული მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ“.**

**ხელოვნების მუზეუმის შენობის დაცლის შემდგომ ჩატარდება გამაგრებითი და კაპიტალური სამუშაოები, რის შედეგადაც, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი საქართველოს სამუზეუმო სივრცეში კვლავ დაიმკვიდრებს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ფუნქციას.**

**იგი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურული კერა, სადაც მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების ექსპოზიციები, საგანმანათლებლო, საგამოფენო და საზოგადოებრივი სივრცეები. მუზეუმი უმასპინძლებს საერთაშორისო ღონისძიებებს, ხელი შეეწყობა მუზეუმის ინტეგრირებას მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუზეუმის რესურსის გამოყენებას არაფორმალური განათლების მიმართულებით, მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, რაც იქნება კულტურული ტურიზმის განვითარების მყარი გარანტია.**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ შალვა ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტაცია იქნება ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ათეული წლებია, ელის ჩვენი საზოგადოება.**

## სპეციალურად ეთნოგრაფიულის სტუმრებისთვის

**თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობის მსურველებს სპეციალური სამგზავრო მიკროავტობუსი მოემსახურება. „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობის მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ მუზეუმის სამგზავრო მიკროავტობუსით, რომელიც კუსტბის ასასვლელიდან ყოველ 30 წუთში ერთხელ ივლის, ყოველდღე 09:00-დან 20:00 საათამდე. ხსენებული ინიციატივა თბილისელებსა და ქალაქის**



**სტუმრებს ღია ცის ქვეშ მუზეუმში მარტივად და სწრაფად მოხვედრის საშუალებას მისცემს. ეს არის ერთ-ერთი იმ ინიციატივებიდან, რომელთა შესახებაც კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა მუზეუმების საერთაშორისო დღეს, 18 მაისს გამართულ ბრიფინგზე აცნობა საზოგადოებას. დღეს ეს ინიციატივა უკვე სისრულეშია მოყვანილი.**

**ინფორმაციისთვის, დღეისათვის ღია ცის ქვეშ მუზეუმს მუნიციპალური ტრანსპორტი ვერ ემსახურება, რაც მუზეუმში მოხვედრის მსურველებს უქმნის ბარიერს, რათა ისარგებლონ თბილისში არსებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწვანე სივრცით, როგორც მუზეუმის დასათვალიერებლად, ისე სუფთა ჰაერზე სასეირნოდ“, — აცხადებენ კულტურის სამინისტროში. უწყების ცნობით, მგზავრები მუზეუმის ბილეთების შეძენას ავტობუსშივე შეძლებენ. ამასთან, მიკროავტობუსი მხოლოდ მუზეუმის სტუმრების გადაადგილებას უზრუნველყოფს.**

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ევროპელ მეცნიერებთან ერთად

**2022 წლის 27-28 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნოლოგიები ევროპაში და პერსპექტივები“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირი (UEAA) და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (GEAA).“**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ბაიბა რივზა, რომელიც ამავე დროს არის ლატვიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, რომელმაც მიმოიხილა სოფლის მეურნეობაში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების მდგომარეობა ევროპაში და საქართველოში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები და დასახა ის ამოცანები, რომლის შესრულება აუცილებელია საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებების მისაღწევად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ლატვიის სოფლის და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ბაიბა რივზა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მიშელ ტიბიერი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, დოქტ. ივერი ახალბედაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი დოქტ. ომარ კაჭარავა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი პროფესორი ლევან უჯმაჯურიძე. საქართველოს საპატრიარქოს სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ბატონი ბაკურ გულუა.

კონფერენციის დღის წესრიგით გათვალისწინებული მოხსენებები გააკეთეს აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ, ლატვიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბაიბა რივზამ. კონფერენციის წინაშე მოხსენებებით გამოვიდნენ საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მიშელ ტიბიერი, უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. იური ლუპენკო და აკადემიკოს-მდივანი ანდრეი გუტოროვი, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი რენე აუტელიტი, შვედეთის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი დოქტ. კეტრინ ნიბლაუსი და ასოცირებული პროფესორი პერ ფრანკელიუსი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი ბ. ამბრუსი, ჩეხეთის აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი ფრანტიშეკ კუჰალა, კონფერენციის მეცნიერულ ღირებულებებსა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის სამომავლო ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი. რევაზ მახარობლიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ტექნოლოგიებზე, აგრეთვე საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დღევანდელ მდგომარეობაზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსები ე. შაფაქიძე, ა. დიდებულიძე და ზ. ფუტკარაძე, პროფესორები ნ. ებანოიძე, გ. ჯავახიშვილი, ო. თედორაძე და რ. მარგალიტაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზ. მახარობლიძე, ტექნიკის დოქტორები გ. ქუთელია, თ. ნადირაშვილი და ო. ცარციძე.

კონფერენიაზე სულ წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის 44 მეცნიერის 26 მოხსენება, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან11 მეცნიერის 8 მოხსენება. ამ მოხსენებების აბსტრაქტების და ტექსტების ელექტრონული ვერსია დაეგზავნათ მოხსენებების ავტორებს და სტამბური წესით გამოქვეყნდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულში.

კონფერენციაზე მომხსენებლების მიერ ხაზგასმით აღინიშნა, რომ 21-ე საუკუნეში, დღის წესრიგში დადგა ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა განხორციელების შედეგად მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, კლებულობს საწვავსაცხები მასალების ხარჯები, დიდდება პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვით უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკო-მექანიკური თვისებები, იზრდება მათი ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად მცირდება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის პროცესები. ეს ნიშნავს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის გადასვლას თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განხორციელებისათვის; ამასთანავე, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ევროპის ქვეყნების გამოცდილება რობოტექნიკის, გლობალური პოზიციური სისტემების და მართვის თანამედროვე კომპლექსური ღონისძიებების მიმართულებით. კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს აგრეთვე საქართველოში აგროინჟინერიის და კერძოდ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კადრების მომზადების სრულყოფის რეკომენდაციებზე.

საერთაშორისო კონფერენციაზე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის განვითარებისა და სრულყოფისათვის დასახული ღონისძიებების ნუსხა და წინადადებები ასახული იქნა კონფერენციის დეკლარაციაში. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მსვლელობისას გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა ბაიბა რივზამ.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი**
**გივი ჯაფარიძე;**

**აკადემიკოსი**
**ელგუჯა შაფაქიძე**

# ირაკლი ქარსელაძე: ჩვენთვის უმთავრესია მაგისტრალური გზების მშენებლობა!





**აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი საფრანგეთის ქალაქ ბრესტიდან იწყება და ჩინეთის საზღვრამდეა გადაჭიმული**

**„ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს მაგისტრალური გზების მშენებლობა წარმოადგენს. კერძოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი, რომელიც უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია, ეს არის საერთაშორისო მარშრუტი, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბრესტიდან იწყება და ჩინეთის საზღვრამდეა გადაჭიმული“** — თქვა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ჟურნალისტებთან საგზაო ინფრასტრუქტურაზე საუბრისას.

როგორც მან განაცხადა, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მონაკვეთი, წითელი ხიდი — სადახლო, სადაც არის საზღვრები აზერბაიჯანთან და სომხეთთან, უკვე აკავშირებს როგორც ფოთის პორტს ასევე თურქეთს სარფის გამშვებ პუნქტს და შესაბამისად, მაგისტრალის ნახევარი უკვე აშენებულია და ექსპლუატაციაშია. მან ასევე აღნიშნა, რომ პანდემიის მიუხედავად მთავრობასთან ერთად საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დიდი სამუშაოები განახორციელა, შედეგად მოხერხდა 70 კმ მაგისტრალის გახსნა, რამაც უკვე 2021 წელს შესაძლებელი გახადა, რომ თბილისიდან ბათუმამდე ნაცვლად 5 საათისა, 4 საათში იყოს შესაძლებელი გადაადგილება.

**„დაგეგმილი გვაქვს სამტრედია-გრიგოლეთის პირველი და მე-4 ლოტების გახსნა. გამოწვევებით სავსე პროექტები იყო, როგორც გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, ასევე სამი შეწყვეტილი ხელშეკრულებით, თუმცა წელს უკვე ეს ორი მონაკვეთი დასრულდება. შედეგად, პირველი ლოტის გახსნა მნიშვნელოვანად დააწინაურებს და რეალურად შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ 86 კმ იქნება ოთხზოლიანი მაგისტრალური გზა. ასევე, გრიგოლეთი-ქობულეთზე 14 კმ-იანი მონაკვეთიდან ვგეგმავთ 11კმ-ის წელს და 3 კმ-ის მომდევნო წელს დასრულებას“**, — განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

მისივე თქმით, ანალოგიურად დასრულებულია სამუშაოების 75% ბათუმის შემოვლით გზაზე, მთლიანობაში ხუთი გვირაბიდან სამი უკვე დასრულებულია, ნომერ 2 გვირაბზე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს, ხოლო პირველ გვირაბზე გეოლოგიური გამოწვევების გამო გაყვანის მეთოდი შეიცვალა.

**„რაც შეეხება საუკუნის პროექტს, რიკოთის მონაკვეთს, მთელ აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალში რიკოთი არის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ამჟამად, ყველა გვირაბზე მიმდინარეობს სამუშაოები, 24 უკვე გაყვანილია, ხოლო 3 გახსნილია მოძრაობისთვის და შეგახსენებთ რომ შარშან სექტემბერში ჩვენ 2 კმ რიკოთის გზა უკვე გავხსენით. დაწინაურებულია ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის მონაკვეთები და უკვე 2022-2023 წელს მოხდება მთლიანად 52 კმ-იანი მონაკვეთის დასრულება. გეგმის შესაბამისად, დაახლოებით 3 საათსა და 40 წუთში იქნება შესაძლებელი გადაადგილება თბილისიდან ბათუმამდე“** — განაცხადა ქარსელაძემ.

მაგისტრალურ პროექტებზე საუბრისას, მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, გარდა მოწესრიგებული და თანამედროვე გზებისა სხვა მრავალ სარგებელსაც იძლევა, კერძოდ, ამ პროექტებში 27 000 ადამიანია დასაქმებული, მათ შორის მნიშვნელოვნად გაზრდილია საქართველოს მოქალაქეების ჩართულობა. ამასთან, გარდა სტაბილური შემოსავლისა, ისინი პროექტის განხორციელების პერიოდში ახალ პროფესიებს ეუფლებიან და იღრმავებენ თავიანთ ცოდნას.

**ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.**

# გვახსოვდეს წარსული, გავუფრთხილდეთ აწმყოს და მომავალს!



სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზისა და აჭარის მამულიშვილთა კავშირის საქმიანი შეხვედრა

**სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზმა პანდემიის გამო იძულებით შეწყვეტილი საქმიანობა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა. მიმდინარე წლის განვლილ ხუთ თვეში გამგეობის რამდენიმე სხდომა გაიმართა და თანამედროვე ეტაპზე სერიოზული პროგრამებიც შემუშავდა მუშაობის გასააქტიურებლად.**

**განსაკუთრებით აღსანიშნავია დარბაზის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უმუშევართა დასაქმებას, ხელმოკლე ოჯახებისადმი თანადგომას, ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩაბმას და სხვა.**

**მეტად მნიშვნელოვანია ქართული გვარების დაახლოების, შეკავშირება-გამთლიანების პროგრამა, რომელიც დიდ ადგილს უთმობს გვარიშვილთა სამშობლოს სიყვარულის და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ერის გამთლიანებაში ღირსეული წვლილის შეტანას.**

**მიუხედავად იმისა, რომ გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა აპოლიტიკური სამოქალაქო ორგანიზაციაა, მტკივნეულად განიცდის ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების დაქსაქსულობას, რადიკალური ოპოზიციის არაკორექტულ დამოკიდებულებას დედაეკლესიის და ქვეყნის ხელისუფლებისადმი, რაც მეტად დაძაბულ-არასასაიმოვნო ვითარებას ქმნის ერის გამთლიანების და ქვეყნის განვითარების საპასუხისმგებლო ამოცანების გადაწყვეტაში.**

სრულიად გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავკაცის ბატონი ირაკლი ბრეგვაძის დიდი ძალისხმევით და ტელეკომპანია „ქართული ტვ“ დირექციის (დირექტორი ქალბატონი მანანა იმედაძე) თანადგომით და მხარდაჭერით ამიერიდან ყოველ სამშაბათობით 22 საათზე ეთერში გავა ირაკლი ბრეგვაძის საავტორო გადაცემა „წუთისოფელი“, რომელიც მაყურებელს მოუთხრობს გვარების წინამძღოლთა დარბაზის მიზანმიმართული ამოცანების შესახებ , მაყურებელს გააცნობს ცალკეული გვარების მიერ ერისთვის სასიკეთო საქმიანობის მაგალითებს.

13 მაისს ტელეეთერში პირველი გადაცემა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ირაკლი ბრეგვაძე, საგვარეულო დარბაზის გამგეობის უხუცესი წევრები: ჯემალ ადამაშვილი და ვალერიან ლომიძე, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს საგვარეულო დარბაზის მიზნებსა და ამოცანებზე, მიმოიხილეს ქართული გვარების წინაშე არსებული გამოწვევები, ყურადღება გამახვილდა ერის გამთლიანების საქმეში გვარების მამულიშვილურ, საპასუხისმგებლო და საშვილიშვილო მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე.

ხევისბერის შეგონება **„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“**. არასდროს არაა დასავიწყებელი. ახლა ყველაფერი ისე აირია, ეს მოწოდება ნაყალბევმა პათეტიკამ შთანთქა. არადა თითოეული ადამიანი საკუთარ თავს, შთამომავლობას უნდა შეახსენებდეს და მოძღვრავდეს **„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“** და ამაყობდეს საკუთარი გვარით.იდენტობა მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებით არ დასტურდება, ეს ფრაზა სერიოზულ ღირებულებებს გულისხმობს, რომელიც ადამიანის სისხლში, ძარღვებში მოძრაობს, ანუ „იმ გორისა ხარ“ დაკისრებულ მოვალეობას, თუ რა გულით ემსახურები, როგორია შენი დამოკიდებულება სამშობლოს წინაშე. დღეს ჩვენი მოვალეობაა გვარის ისტორია, კეთილი ტრადიციები და იდენტობა გავაცოცხლოთ შთამომავლობაში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა ილია მეორემ განაცხადა — **„დღეს როგორც არასდროს საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარების ერთსულოვნებას და სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობას.“**

ეს შეგონება თითოეულმა ჩვენგანმა გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ და როგორც ჯვარი ჩვენი საფიცარი, ისე უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, გვარისადმი სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გაითკეცდება, როცა ხედავ შენ გარშემო მრავალი სახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვაწლმოსილ და დაფასებულ სახლიკაცს. თითოეულმა — ჭეშმარიტმა ქართველმა საგულდაგულოდ უნდა შეისწავლოს თავისი გვარის ისტორია, ცდილობდეს მის გაძლიერებას და შთამომავლობას გადასცემდეს წინაპართა განვლილ გმირულ ისტორიას.

საქართველოში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა გვარის წარმომადგენელთა შეხვედრები. ეს თავყრილობები იმითაცაა საყურადღებო, რომ სახლიკაცები მსჯელობენ გვარში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. ახალგაზრდებს შეახსენებენ გვარის სახელოვან ისტორიასა და ტრადიციებს, მოუწოდებენ გვარის გამრავლების და სამშობლოს ერთგული სამსახურისაკენ, ეხმარებიან სოციალურად დაუცველ გვარის წარმომადგენლებს იზიარებენ გვარიშვილთა სიხარულს და თანაუგრძნობენ დამწუხრებულებს, იხსენებენ და პატივს მიაგებენ გარდაცვლილ მოგვარეებს და სხვა.

გადაწყდა, თითოეული რეგიონის მიხედვით დაიხვეწოს სამოქმედო პროგრამა, გვარების ისტორიის შესასწავლად მოიწვევენ ცნობილ ეთნოგრაფებს და ეთნოლოგებს, ვისაც სურვილი ექნება საარქივო მასალებზე დაყრდნობით მომზადდება კონკრეტული გვარის ისტორია. დარბაზი ითვალისწინებს წარმატებული გვარების გამოცდილების საჯაროდ გაანალიზებას, რეგიონებში გასვლით ღონისძიებებს და სხვა აქტივობების გამართვას.

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, ალბათ, ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც კეთილშობილურ, ჰუმანურ და პატრიოტულ საქმიანობას უანგაროდ და ენთუზიაზმით ასრულებს. ეს საზოგადოება საქართველოში ემსახურება უდიდეს ეროვნულ და მამულიშვილურ საქმეს, ქართული გვარების ისტორიის შესწავლას, ერის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის მოგვარებაში შესაძლო წვლილის შეტანას, რაც მთავარია, ერის, ანუ გვარიშვილების სულიერი და ზნეობრივი სულისკვეთებით აღზრდას, დედაეკლესიასთან მჭიდრო კავშირით და მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებით ზრუნავს ერის გამთლიანება-სრულყოფისათვის. ახალგაზრდობაში ქართული ტრადიციების, მემკვიდრეობითობის, იდენტობის დაცვის, სამშობლოს ისტორიის სწავლებით სრულყოს გვარიშვილთა წინაშე არსებული უამრავი პრობლემის გადაწყვეტა. ყველას, დიდსაც და პატარასაც, უნდა ახსოვდეს უპირველესი შეგონება „ვისი გორისაა“, საიდან მოდის მისი გვარი, რა გზა გამოიარა დღემდე და რას ფიქრობს სამომავლოდ. გაუფრთხილდეს არა მარტო საკუთარ გვარს, არამედ გვარის შეკავშირებით ყოველმხრივ აიმაღლოს გვარიშვილთა პატრიოტული სულისკვეთება, განამტკიცოს სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა, ღირსეული წვლილი შეიტანოს ერის გამთლიანება-სრულყოფაში.

საგვარეულო დარბაზს ისე, როგორც, არასდროს დღეს ესაჭიროება სააგიტაციო- პროპაგანდისტული მუშაობის გააქტიურება, რათა ყველა გვარმა გაითვალისწინოს ერის წინაშე არსებული უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები და წარმატებით გადაწყვიტოს ისინი. ერი ხომ გვარებისგან შედგება.

მკითხველებს შევახსენებთ, რაც ზემოთ ვთქვით, ეს ზოგადი ფრაზები არ გეგონოთ, საგვარეულო დარბაზის წევრები დღენიადაგ ზრუნავენ ქართულ გვარებში არსებული უამრავი პრობლემის გადაწყვეტისათვის, ერისა და ბერის ერთობლივი საქმიანობით ქვეყნის განვითარებაში ღირსეული წვლილის შეტანისათვის.

საგვარეულო მოძრაობა სათავეს 90-იანი წლებიდან იღებს. 2010 წლიდან კი საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ საფუძველი ჩაუყარა სრულიად საქართველოს საგვარეულო დარბაზის შექმნასა და გვარების დალოცვას. დღემდე დალოცვილია 7 ათასზე მეტი ქართული გვარი, რითიც ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა ქართული გვარების კეთილშობილური მისიის შესასრულებლად.

ერის გამრავლების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობისაა პატრიარქის მიერ ოჯახებში დაბადებული მესამე და მომდევნო შვილების მონათვლა, რამაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ქართულ გვარებში. სასიხარულოა ისიც, რომ პატრიარქის ხელმოწერილი ნათლობის მოწმობები ოჯახებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული, რითაც ხაზი ესმევა ქართული გვარების დიდ პატრიოტულ მისიას და პატრიარქისადმი უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას.

ყველას უნდა ახსოვდეს მარტივი ჭეშმარიტება, მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი აქტიურდება. რაც ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც საქართველოა, სახარბიელო სიახლე არაა. ქართული გვარები ერის ქვაკუთხედია და ახლა ქართულ გვარებს როგორც არასდროს ესაჭიროება შეკავშირება-გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა და სიყვარული სამშობლოს გადარჩენისთვის ზრუნვა. ეს კეთილშობილური, საპასუხისმგებლო მისია ქართულმა გვარებმა სიცოცხლის ფასად უნდა შეინარჩუნონ და შთამომავლობას შემოუნახონ საუკუნეების მანძილზე ბრძოლით სიცოცხლის ფასად დღემდე მოტანილი ჩვენთვის საოცნებო და საამაყო გვარები. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება საგვარეულო დარბაზი.




დარბაზის გამგეობის წევრთა მორიგი შეხვედრა

**ვალერიან ლომიძე,**
**ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**

№69. პარასკევი, 3 ივნისი, 2022 წელი.

# 1. ამერიკის, იაპონიის, ავსტრალიის და ინდოეთის გაერთიანება
# 2. ექვსდღიანი ომის გაკვეთილები



**რუსეთ-უკრაინის ომის კვალდაკვალ, მსოფლიო აშკარა პოლარიზაციას განიცდის. შექმნილი პოლიტიკური რეალობის ფონზე, ყველა ქვეყანა ცდილობს მოკავშირეებთან ურთიერთობათა სიმტკიცე კიდევ ერთხელ გადაამოწმოს. ამ რამდენიმე დღის წინ, ამერიკის პრეზიდენტმა აზიური ტურნე ჩაატარა. ბაიდენი ჯერ სამხრეთ კორეას, შემდეგ კი, იაპონიას ეწვია. ვიზიტები პარტნიორ ქვეყნებთან, პოტენციური ჩინური საფრთხისგან თავის დასაცავად, ალიანსის გამაგრების მიზნით და იმის ხაზგასასმელად განხორციელდა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების ეფექტურობისთვის იაპონიისა და სამხრეთ-კორეის პოზიცია უაღრესად მნიშვნელოვანია.**

ამერიკისა და სამხრეთ-კორეის პრეზიდენტები ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამხედრო წვრთნებზე შეთანხმდნენ. ჯო ბაიდენმა და იუნ-სეოკ-იოლმა რეგიონში ამერიკული ბირთვული იარაღის განთავსებაზე ისაუბრეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჩრდილოეთ კორეისთვის შესაბამისი პასუხის გაცემა მოხერხდეს. პრესკონფერენციაზე, ბაიდენმა განაცხადა, რომ სწორედ აქ, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების რეგიონში იწერება მომავალი მსოფლიოს ისტორია, რითაც მან ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამერიკისთვის ეს რეგიონი. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის პარტნიორობა ამერიკასთან, უსაფრთხოების გარდა, ინტენსიურ ტექნოლოგიურ თანამშრომლობასა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობასაც მოიცავს. სეულის შემდეგ, ბაიდენი ტოკიოს ეწვია, სადაც იაპონიის პრემიერ-მინისტრს შეხვდა. ბაიდენი აქაც ესაუბრა ჟურნალისტებს და თქვა, რომ ამერიკა ტაივანის დასაცავად ძალის გამოყენებაზეც არ დაიხევს უკან. ნათქვამმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რადგან ტაივანის მიმართ ამერიკის პრეზიდენტის ეს განცხადება, ვაშინგტონის პოლიტიკიდან გადახვევად ჩაითვალა, მიუხედავად ბაიდენის განმარტებისა, რომ ამერიკა ჩინეთის კონცეფციის ერთგული რჩება.

ჯო ბაიდენისა და ფუმიო კიშიდას ერთობლივი მონაწილეობით, სხვა შეხვედრებიც გაიმართა, მათ შორის, ამერიკის პრეზიდენტისა და რეგიონის სხვა ქვეყნების ლიდერთა ვირტუალური გასაუბრება, რომლის შედეგად, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების რეგიონული ეკონომიკური შეთანხმების ხელმოწერა გადაწყდა. შეთანხმების მონაწილეები არიან: ამერიკა, ავსტრალია, ბრუნეი, ინდოეთი, ინდონეზია, იაპონია, სამხრეთ-კორეა, სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია, ფილიპინები და ვიეტნამი. ეს ახალი ალიანსი მანამდე არსებული მსგავსი ეკონომიკური ბლოკის ალტერნატივაა. შეგახსენებთ, რომ 2017 წელს, ტრამპის პრეზიდენტობისას, ამერიკამ ის ალიანსი დატოვა, რადგან, დონალდ ტრამპი არ იზიარებდა კავშირში შემავალი ქვეყნების მოსაზრებას ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის დაუბეგრავი ვაჭრობის თაობაზე. რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ტრამპის მოსაზრებას ბაიდენიც იზიარებს. ამიტომ, მისმა ადმინისტრაციამ ამ რეგიონის ქვეყნებს ალტერნატიული შეთანხმება შესთავაზა.

ტოკიოში, ასევე, QUAD-ის მონაწილე სახელმწიფოების ლიდერთა სამიტი გაიმართა. სახელწოდება QUAD ინგლისური სიტყვების ინიციალებია და ნიშნავს Quadrilateral Security Dialoge, ანუ ოთხმხრივი უსაფრთხოების დიალოგი. **ესაა ოთხი ქვეყნის, ამერიკის, იაპონიის, ავსტრალიისა და ინდოეთის სტრატეგიული გაერთიანება.** ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის შეხვედრა ოთხჯერ შედგა, რაც მის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს. ბოლო შეხვედრაზე, სამიტის მონაწილე ქვეყნების ლიდერებმა ერთხმად აღიარეს, რომ ჩინეთის პოლიტიკა საფრთხეს უქმნის რეგიონს, და მის მიმართ შეკავების პოლიტიკის გატარება გადაწყვიტეს, შეთანხმდნენ რა, წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში საზღვაო საზღვრების კონტროლის უზრუნველყოფისთვის საზღვაო მონიტორინგის სისტემის შექმნაზე. ეს ნაბიჯი მიმართულია როგორც პეკინის, ისე მოსკოვის წინააღმდეგ. შეხვედრაზე, ყველაზე ხანგრძლივი და დაძაბული მსჯელობა უკრაინის ომის თაობაზე და რუსეთის მიმართ სანქციების შესახებ იყო. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა, ნარენდრა მოდიმ შეხვედრას პოზიტიური და პროდუქტიული უწოდა. მისივე თქმით, ინდურ-ამერიკული ურთიერთობა ერთობ ძვირფასია, მაგრამ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ინდოეთი ჯერჯერობით არ არის მზად რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს შეუერთდეს. ასე თქვა, ინდოეთის სამხედრო აღჭურვილობის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი რუსეთზე მოდის და, ინდოეთის სასაზღვრო დაძაბულობის გათვალისწინებით, ჩემი ქვეყნისთვის ეს მარაგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიაო. მოკლედ, ვერ გეტყვით, რომ ბაიდენის აზიურმა ტურნემ დიდი გარღვევა მოახდინა. პროცესები ნელა და დაძაბულად ვითარდება.

* * *

**მიუხედავად იმისა, რომ ომები თარიღებით, მიზნებითა და შედეგებით განსხვავდება ერთმანეთისგან, და თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი სახელი დაარქვა ისტორიამ, ისინი თავისი გამანადგურებელი ბუნებით მაინც გვანან ერთმანეთს. 1967 წლის ექვსდღიანმა ომმა ეგვიპტესა და ისრაელს შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ამ ომმა რეგიონში რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკური წონასწორობა და დიდი გავლენა იქონია მსოფლიო პოლიტიკაზე. შედეგების გარდა, ეს ომი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ შეიარაღებული დაპირისპირება მხარეებს შორის მხოლოდ ექვს დღეს გაგაგრძელდა და სამხედრო ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე ომი.**



სამხედრო ექსპერტებმა შეისწავლეს ექვსდღიანი ომის გამოცდილება და მსოფლიოს ბევრ სამხედრო სასწავლებელში დღემდე გადიან კურსს ეგვიპტის წინააღმდეგ ისრაელის საბრძოლო მოქმედებების შესახებ. კონფლიქტის მიზეზი არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის არსებული პერმანენტული დაძაბულობა იყო, რომელიც, მოგეხსენებათ, დღემდე გრძელდება. სუეცის ცნობილი კრიზისის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა იარაღით და სამხედრო სპეციალისტებით დახმარებოდა ეგვიპტეს, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. საბჭოთა სპეციალისტების აშენებულია ასუანის კაშხალი და მათივე აგებულია დიდი წყალწყვის მქონე არაერთი გემი ქალაქ ალექსანდრიაში. თავად გახლავართ იმ გემთსამშენებლო ქარხანაში ნამუშევარი. 1967 წელს, კიდევ უფრო დაიძაბა ისედაც გართულებული ურთიერთობა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის. ებრაელთა მიმართ არ წყდებოდა არაბთა მუქარა. მათ, უბრალოდ, ისრაელის სახლემწიფოს განადგურება სურდათ. 1967 წლის ზაფხულში, ეგვიპტემ ტირანის სრუტეში საერთაშორისო ნაოსნობა შეაჩერა, რითაც, ფაქტობრივად, ისრაელის უმნიშვნელოვანესი ნავსადგური ეილათი დაბლოკა. ამავე დროს, სინას ნახევარკუნძულზე ეგვიპტის ჯარების განთავსება დაიწყო. მანამდე კი, ერთი წლით ადრე, ეგვიპტე-სირია-იორდანია-ერაყის სამხედრო კავშირი შეიქმნა. 1967 წლის 11 მაისს, საბჭოთა კავშირმა ეგვიპტესა და სირიას ისრაელის მხრიდან მოსალოდნელი შეტევის შესახებ ამცნო. ეგვიპტის მაშინდელმა პრეზიდენტმა, გამალ-აბდელ-ნასერმა სინაის ნახევარკუნძულზე 100 ათასი ჯარისკაცის, 900 ერთეული ჯავშანტექნიკისა და 700 საარტილერიო დანადგარის მობილიზება მოახდინა. 15 მაისს, შეიარაღებული ძალების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ისრაელმა რეზერვისტების მობილიზაცია გამოაცხადა, რაც, პრაქტიკულად, ყველა ბრძოლისუნარიანი მოქალაქის ჯარში გაწვევას ნიშნავდა. 1967 წლის 22 მაისს ნასერმა ისრაელისთვის განკუთვნილი სტრატეგიული ტვირთებისთვის აქაბის ყურისა და წითელი ზღვის ჩაკეტვა გამოაცხადა. ასევე, მოითხოვა რეგიონიდან გაეროს ცისფერჩაფხუტიან მშვიდობისმყოფელთა გაყვანა. ერთი სიტყვით, ეგვიპტემ ისრაელი საზღვაო ბლოკადაში მოაქცია. 30 მაისს, ეგვიპტე-სირიის თავდაცვით პაქტს იორდანიაც შეუერთდა. ომის დაწყებას აღარაფერი აკლდა. ებრაელებმა კარგად იცოდნენ, რომ გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე და მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობის გამო, ისრაელი ვერ ძლევდა მტერს. ვერც ხანგრძლივ ომს გაუძლებდა, რადგან ეს მოსახლეობის დიდი რაოდენობით მობილიზებას მოითხოვდა, რაც ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლას ნიშნავდა. ტერიტორიული სიმცირის გამო, ისრაელს მანევრირების უნარიც ნაკლები ჰქონდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისრაელს მხოლოდ ხანმოკლე ომი შეეძლო ეწარმოებინა. მას მოწინააღმდეგისთვის ისეთი დარტყმა უნდა მიეყენებინა, რომლის შემდეგადაც ის დიდხანს ვერ შეძლებდა საბრძოლო მოქმედებების განახლებას. 1967 წლის 5 ივნისს, ისრაელის მთავრობამ ეგვიპტეზე მოულოდნელი თავდასხმის გადაწყვეტილება მიიღო. დღე ჩვეულებრივად დაიწყო. ისრაელის 40 თვითმფრინავი ერთი და იმავე სქემით, უკვე ორი წლის განმავლობაში ასრულებდა გეგმიურ სასწავლო ფრენებს. შესაბამისად, ამას, ეგვიპტეში არანაირი განგაში არ გამოუწვევია. არავის უფიქრია, რომ ისრაელი, ასე მოულოდნელად, ომს დაიწყებდა, და რუტინულ წვრთნებში მონაწილე ებრაული თვითმფრინავები რეალურ საბრძოლო დარტყმებს განახორციელებდა. ისრაელის გამანადგურებლებმა პირველი შეტევა ეგვიპტის სამხედრო აეროდრომებზე მიიტანეს. დარტყმები იმდენად ძლიერი იყო, რომ ეგვიპტის საჰაერო ძალები მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. პირველ დღეს, ეგვიპტის 19 აეროდრომის წინააალმდეგ 432 საბრძოლო გაფრენა განხორციელდა. ომში ჩაერთო იორდანიაც. მიუხედავად მრავალმხრივი გაფრთხილებისა, შეეწყვიტა ომი, მან თავდასხმა განაგრძო. საპასუხოდ, ისრაელის საჰაერო ძალებმა იორდანიის წინააღმდეგ ოპერაცია დაიწყეს და აღმოსავლეთ იერუსალიმი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გაათავისუფლეს. სირიამ პირველივე დღეებში დაიწყო მასიური შეტევა ჩრდილოეთ ისრაელის დასახლებებზე, რამაც ისრაელის საპასუხო დარტყმა განაპირობა. ომის მესამე ტალღას ძლიერი იერიში მოჰყვა იორდანიის, ერაყისა და სირიის აეროდრომებზე. განხორციელდა კიდევ 119 გაფრენა, რამაც სირიის საჰაერო ძალების დიდი ნაწილი გაანადგურა. ომის მეექვსე დღეს, ისრაელმა ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის გაერთიანებულ სამხედრო ძალებზე საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. ეგვიპტის ჯარების დანაკარგმა დაჭრილი, მოკლული და ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცების სახით 100 ათასი კაცი შეადგინა. მათ დაკარგეს 800 ტანკი, 258 რუსული რეაქტიული თვითმფრინავი, 68 ბომბდამშენი, 10 ათასი სატვირთო ავტომობილი და ათასობით საარტილერიო დანადგარი. დაიღუპა 15 ათასი იორდანიელი ჯარისკაცი. ისრაელის დანაკარგები კი, ამ ომში მინიმალური იყო: 700-მდე დაღუპული და 2600-მდე დაჭრილი ჯარისკაცი. რაც შეეხება სამხედრო ტექნიკას, მათ მხოლოდ 61 ტანკი დაკარგეს. ექვს დღეში, ისრაელმა თავისი ტერიტორია ოთხჯერ გაზარდა. 1967 წლის 22 ნოემბერს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ებრაელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა, თუმცა, ისრაელმა ეს საერთაშორისო დადგენილება ყურად არ იღო და ექვსდღიანი ომის შემდეგ გამოცემულ ყველა რუკაზე ოკუპირებული ტერიტორიები ისრაელის საზღვრებში მოაქცია. მაგრამ, ამ სამხედრო გამარჯვებამ არც ისრაელს და, ზოგადად, არც ამ რეგიონს მშვიდობა და უსაფრთხოება არ მოუტანა. ისრაელისთვის მთავარ პრობლემად იქცა ის, თუ რა უნდა ექნა დაკავებული ტერიტორიისათვის, ვინაიდან, ამ ფართობის შეერთება ისრაელის სახელმწიფოსთან მკვეთრად შეცვლიდა ეთნო-დემოგრაფიულ ბალანსს არაბების სასარგებლოდ. ამიტომ, დასავლეთ-ნაპირისა და ღაზას სექტორის ანექსია ისრაელს ოფიციალურად არ მოუხდენია, და იქაურ არაბებზე თავისი იურისდიქცია არ გაუვრცელებია...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**პოსTV**

## მძლავრი დაბომბვები და განადგურებული მოსახლეობა

**„მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლის უმეტესობა გამოწვეულია ფართო მოქმედების არეალის ასაფეთქებელი იარაღით, მათ შორის — მძიმე არტილერიიდან და მრავალჯერადი სარაკეტო სისტემებით დაბომბვითა და სარაკეტო და საჰაერო დარტყმებით“,** — აღნიშნულია გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) განახლებულ ანგარიშში.

**OHCHR-ის მონაცემების თანახმად, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან, 4 113 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და 4 916 დაშავდა. ყველაზე დიდი მსხვერპლი დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებშია (2 337 დაღუპული და 2 808 დაშავებული).**




# ქუთაისის ოპერის თეატრში ირაკლი კახიძე იმღერებს

**6 ივნისს 19 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი წარმოადგენს პიეტრო მასკანის შედევრს — ერთმოქმედებიან ოპერას „სოფლის ღირსება“.**

„სოფლის ღირსება“ იტალიელი მწერლის ჯოვანი ვერგას ნოველაა — პატარა ლიტერატურული შედევრი, რომელიც 1889 წელს გამოქვეყნდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც ძალზე წარმატებულმა ინსცენირებამაც შეუწყო ხელი. პიესა გამოირჩევა მოქმედების, სიუჟეტის მაქსიმალური კონცენტრირებულობით. ნაწარმოებში მოვლენები ვითარდება ერთი დილის — აღდგომის დილის განმავლობაში, რამაც ძალზე მიიზიდა პიეტრო მასკანი. ლიბრეტოს შექმნაზე მუშაობდნენ ჯოვანი ტარჯონი-ტოცეტი და გვიდო მენაში. „სოფლის ღირსების“ პრემიერას 1890 წლის 17 მაისს რომში ტრიუმფული წარმატება ხვდა წილად, რის შემდეგაც ოპერა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიდგა და ვერიზმის მხატვრული პრინციპების, შემოქმედებითი პოზიციის ფართო გავრცელებას შეუწყო ხელი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით 2018 წელს აღდგენილი სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორია რევაზ ჯავახიშვილი, რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე, მხატვარ-შემსრულებელი ირაკლი სვანიძე (სპექტაკლის დამდგმელი მხატვრის — თემურ არსენიძის სცენოგრაფიის მიხედვით). „სოფლის ღირსებაში“ მონაწილეობას მიიღებენ: უცხოეთში დიდი წარმატებით მოღვაწე ქართველი ტენორი **ირაკლი კახიძე** (ტურიდუ), ახალგაზრდა მომღერალი, ალექსანდრე ხომერიკის აღზრდილი, თბილისის ოპერის თეატრის მიწვეული სოლისტი **თამარ ლებანიძე** (სანტუცა), ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები: **ინგა ფუტკარაძე** (ლუჩია), **ბაკურ კვირიკაშვილი** (ალფიო), **ირმა შავგულიძე** (ლოლა), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ნათია გოგუაძე**) და ორკესტრი. სპექტაკლს უდირიჟორებს **გიორგი რევიშვილი**.

აქვე წარმოგიდგენთ თეატრის შემოქმედებითი სტუმრის ირაკლი კახიძის ახალ მიღწევებს. ირაკლი კახიძე პირველი ქართველი ტენორია, ვინც ორანჟის ცნობილ, ძალზე პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე იმღერა 2018 წელს.ის დიდი წარმატებით მოღვაწეობს ევროპის ქვეყნებში. პანდემიის დროს წარმატებული სპექტაკლები ჰქონდა მას ასევე ჰონგ კონგში. ირაკლი კახიძეს შემოქმედებითი პარტნიორობა აკავშირებს ისეთ მსოფლიო ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან: ლუდოვიკ ტეზიე, ლატანია მოორე, მიშელ ფოლე, ტატიანა სერჟანი, ბეატრის ურია-მონძონი, ეკატერინე სემენჩუკი, ერვინ შროტი, რომან ბურდენკო, დრაგანა რადაკოვიჩი, სვეტლა ვასილევა, ოლესია პეტროვა, ვლადისლავ სულიმსკი, ქეთრინ ფოსტერი და სხვა.



გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ევროპული პრესიდან, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ შტრიხებს ირაკლი კახიძის პორტრეტისთვის: **„ირაკლი არის უაღრესად სიმპათიური, არაჩვეულებრივად პოზიტიური ადამიანი, თბილი, კეთილი, კოლეგიალური და კარგი იუმორის მქონეც. ერთი სიტყვით უაღრესად სასიამოვნო გარემოს ქმნის მუშაობის პროცესში. რაც შეეხება მას როგორც მომღერალს... მიმაჩნია, რომ მის შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებულ, ფენომენალურ მოვლენასთან. მისი ხმა არის ულამაზესი ტემბრით, ძალით და მოცულობით შეფერილი. გასაოცარია რეგისტრული სკალა, რომელსაც იგი ასე ოსტატურად ფლობს და რაც საშუალებას აძლევს თავისუფლად იგრძნოს თავი უკიდურესად მაღალ რეგისტრშიც კი. მას აქვს ყველაფერი რაც ნამდვილ სპინტო-ტენორს სჭირდება ვერდისა და პუჩინის რთული რეპერტუარის სიმღერისთვის.**

**და კიდევ... ის რაც მის სიმღერას განსაკუთრებულს ხდის და რაც ასე ძალიან მხიბლავს მასში, ეს არის სიტყვის და ფრაზის მნიშვნელობის საოცრად ზუსტი შეგრძნება. ეს ფაქტორი ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის თითქმის გადამწყვეტია. ირაკლის სადღაც შიგნიდან გულისა და სულის სიღრმიდან გამოაქვს სიტყვის მნიშვნელობა და ბრწყინვალე ბრილიანტების სახით მიაქვს მსმენელამდე. მომღერელი ირაკლი კახიძე მანჰაიმის ნაციონალური თეატრის ნამდვილი მონაპოვარი და განძია!!! ეს არის ხმა რომელიც მუდმივად გინდა რომ ისმინო!“** — წერს შტეფჰენ მარინარო, მანჰაიმის ნაციონალური თეატრის მთავარი მრჩეველი სამხატვრო-მუსიკალურ დარგში.

**„ქართველ ტენორს ირაკლი კახიძეს რომელმაც, უკვე დაიმკვიდრა შესანიშნავი იტალიური სპინტო-ტენორის რეპუტაცია, ახლა კი უკვე ფრანგული კლასიკური რეპერტუარის ნადირისა და დონ ხოზეს ჩათვლით, შემატა კიდევ ერთი ბრწყინვალე და ურთულესი როლი — ვერთერი (მასნეს „ვერთერი“). მისი ულამაზესი ტემბრის ხმა იღვრებოდა რბილად და ლირიკულად, გულშიჩამწვდომად და სავსედ ჟღერდა მაღალი ნოტები... ვოკალურ პრევალენტობას იგი შესანიშნავად უთავსებს ლეგატისიმოს და პიანოს გასაოცარ კულტურას, ასევე იშვიათი გემოვნების მუსიკალურ ფრაზირებას“** — წერს გერჰარდ ჰოფმანი.

**„ირაკლი კახიძე — დონ კარლო! კიდევ ერთი ნათელი შედევრი მის რეპერტუარში! განსაკუთრებულად გამორჩეული ვოკალური აქცენტები ყველა სცენაში!**

**ქართველმა ტენორმა კიდევ ერთხელ მოხიბლა მსმენელი თავისი ზუსტი, სრულყოფილი და ელეგანტური ხმით! ტენორი თავდაჯერებული ბრწყინვალებით! ყველანაირი შოუმენობის გარეშე!“ — ამ სიტყვების ავტორიც კრიტიკოსი გერჰარდ ჰოფმანია.**

**სამი სხვადასხვა გერმანული გამოცემა ასე ეხმაურება ირაკლი კახიძის მიერ განსხეულებულ დონ ხოზეს (ბიზეს „კარმენი“): „მართლაც რომ რთულია იყო ირაკლი კახიძის პარტნიორი სცენაზე. სენსაციურ შთაბეჭდილებას ახდენს მისი ულამაზესი ხმის ძალა, თავისუფალი მაღლების, ფრაზირების და ტონის სრულყოფის შთამბეჭდავი მოდიფიცირება!“; „...იდეალურ დონ ხოზედ გვევლინება ირაკლი კახიძე, ძლიერი ხმით, თავისუფალი ფრაზირებით, მყარი და გაშლილი მაღლებით!“; „...თავისი სასიამოვნო ტემბრით შეფერილი ხმით აცოცხლებს დონ ხოზეს ირაკლი კახიძე. გასაოცარ განვითარებას აღწევს იგი ბოლო სცენაში, მძიმე რუბატოებისა და სულისშემძვრელი ინტონაციის მეშვეობით“.**

ირაკლი კახიძეს ქუთაისის ოპერის თეატრში არაერთხელ აქვს ნამღერი დიდი წარმატებით. ამჯერადაც, „სოფლის ღირსება“ მისი მონაწილეობით წარუშლელი შთაბეჭდილებებით გაგამდიდრებთ.

**ზურაბ ქუთათელი**

# დიდი მესაყვირე

**მისი ნამდვილი სახელი და გვარი ლუის დენიელია, მაგრამ ამერიკის სამხრეთის ქალაქ ახალ ორლეანში, სადაც იგი დაიბადა, კრეოლების ყაიდაზე მას ლუის ეძახდნენ.**

ჰოდა, სწორედ ამ სახელით იცნობს ლუის მთელი მსოფლიო, რადგან ლეგენდარული არმსტრონგი — ერთ-ერთი უდიდესი ჯაზმენთაგანი, გენიალური მუსიკოსი, მესაყვირე, მთელი მუსიკალური მიმართულების მამამთავარია.

იგი მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1901 წლის 4 აგვისტოს დაიბადა ახალი ორლეანის ულარიბეს „შავ“ კვარტალში — მამას იგი არც კი იცნობდა, მეძავ დედას კი მისთვის და მისი დისთვის „არ ეცალა“. მართალია, ღვთის მადლით, ბავშვები ბებიამ კი წაიყვანა, მაგრამ ლუის პატარაობიდანვე მუშაობა მოუწია, რათა საკუთარი თავისა და დაიკოს სარჩოს ფული ეშოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ლუი ისეთი მშობლების „ხელში“ დაიბადა, რომ უარესის წარმოდგენა ძნელია, როგორც ჩანს, ბედ-იღბლის განმგები ქალღმერთი მას მაინც სწყალობდა: იგი ხელის ბიჭად მეფის რუსეთიდან ამერიკაში ჩასულ ებრაელთა ოჯახში მოხვდა. კარნორსკების ოჯახის უფროსს კი თვალში მოუვიდა გამრჯე, დაუზარელი და ალერსიანი ბიჭუნა. ამიტომაც იყო, რომ ოჯახის წევრებიც მას გულთბილად ეპყრობოდნენ, არც ლუკმაპურს აკლებდნენ, ტანსაცმელსაც ყიდულობდნენ და, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ღამის გასათევადაც კი იტოვებდნენ. ბოლოს საქმე ისე აეწყო, რომ ლუი თითქმის ოჯახის წევრად იქცა — მან ჩინებულად ისწავლა იდიში, ოდნავ ნაკლებად — რუსულიც კი! მან ისე შეაყვარა თავი კარნორსკებს, რომ მათ იგი სკოლაშიც მიაბარეს, მოგვიანებით კი, როცა ის წამოიზარდა, სამუსიკო საკრავი უყიდეს — კორნეტი, რომელიც მის ცხოვრებაში პირველი სასულე ინსტრუმენტი გახდა.

უბანი, სადაც ლუი იზრდებოდა, თავისი განსაკუთრებული, დანარჩენი ახალი ორლეანისგან მეტად განსხვავებული ცხოვრების წესითა და ზნე-ჩვეულებებით გამოირჩეოდა: აქ უამრავი საცეკვაო დარბაზი, შავ-შავი ტიპების შეკრების საყვარელი ბარი და საროსკიპო იყო. სწორედ ამ უბნის ქუჩებსა და პატარ-პატარა დუქნებში თავდაპირველად დაიწყო დაკვრა ჯაზის მომავალმა ვარსკვლავმა — ლუი არმსტრონგმა, მაგრამ ერთხელ იგი შარში გაეხვია — დედის ერთ-ერთ მუშტარს, ალბათ, პოლიციელს, ლუიმ პისტოლეტი მოპარა, რათა ბიჭებთან ერთად მიზანში ესროლა, რაშიც გამოიჭირეს კიდეც. ამ დანაშაულისთვის იგი ციხეში ჩასვეს, ოღონდ ცოტა ხნით და როგორც ჩანს, მან ამ მწარე გაკვეთილიდან სწორი დასკვნა გამოიტანა: ყმაწვილკაცობის უაღვირო ტემპერამენტი დაიშოშმინა. გარდა ამისა, ის ციხის ორკესტრში უკრავდა და გამოცდილებაც მერე ცხოვრებაში გამოადგა.



ჰოდა, რა გამოვიდა ამ ფათერაკებისა და თავგადასავლების შედეგად, დღესდღეობით მთელმა მსოფლიომ კარგად უწყის — დაიბადა უნიკალური მესაყვირე და გამორჩეული, საარაკოდ ჩახლეჩილი ხმის მქონე მომღერალი, ჯაზის უდიდესი ვარსკვლავი.

საგანგებოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მძიმე ბავშვობას ლუის გული არ გაუბოროტებია, იგი დიდსულოვანი, გულუხვი, ხელგაშლილი და ტკბილსალმიანი კაცი დადგა, რომელმაც გარდაცვალების წინ საუცხოო მოგონებები დაწერა. სხვათა შორის, მთელი ცხოვრების მანძილზე, ლუი არმსტრონგი მკერდზე დავითის ექვსქიმიან ვარსკვლავს ატარებდა, ეს მისი შემკედლებელი ებრაელთა ოჯახის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის ნიშანი იყო.

მსოფლიოში შემდგომ არაერთმა სახელოვანმა მუსიკოსმა კარიერაში პირველი ნაბიჯები სწორედ ლუი არმსტრონგის კოლექტივებში გადადგა. მთელი ცხორვების განმავლობაში „საჩმო“, როგორც მას სიყვარულით კოლეგებმა შეარქვეს, ჯაზის უდიდეს ვარსკვლავებთან უკრავდა, აკომპანემენტს უკეთებდა საქვეყნოდ ისეთ ცნობილ მომღერლებს, როგორებიც არიან ფრენკ სინატრა, ელა ფიტცჯერალდი, ბარბარა სთრეიზანდი, ბილი ჰოლიდეი, ბინგ ქროსბი, დიუკ ელინგტონი, ოსკარ პეტერსონი.

იგი დიდად პოპულარული იყო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან, ვიდრე 1970-იანი წლების დასაწყისში გარდაცვალების დღემდე. მისი დაკრძალვის ცერემონიას ამერიკის შეერთებული შტატების ტელეარხები მთელი ქვეყნის მასშტაბით გადასცემდნენ, სამგლოვიარო სიტყვით გამოსულმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა კი საჩმოს „ამერიკული ხელოვნების ერთ-ერთი შემოქმედი, კაშკაშა ინდივიდუალობის მქონე კაცი“ უწოდა, რომლის დიდებულმა ნიჭმა და კეთილშობილებამ სულიერად გაამდიდრა ამერიკელები.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ფიცარნაგზე

# კახა-გიორგის სადიდებელი

**დარწმუნებულნი ვართ, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ზეგ** ლაშა ტა**ლახაძის ტრიუმფის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით დაიხურება, მაგრამ გიორგი ასანიძის შეგირდები გუნდის ლიდერის საქმეში ჩართვამდეც ჩინებულად გამოიყურებიან — მათ აქტივში უკვე 7 მედალია (1 „ოქრო“, 4 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“).**

„ჯვაროსანთა“ მონაგრის ნახევარი ჩვენი ნაკრების ლეგენდარული თავკაცის 21 წლის ვაჟის — **კახი ასანიძის** ნადავლია, თუმცა, ადვილი შესაძლებელი იყო, მამა-შვილის ნაღვაწი ხარისხობრივადაც უკეთესი ყოფილიყო.



საუბარია 73 კილოში განვითარებულ მოვლენებზე, რომელიც შეგვიძლია კურიოზად შევაფასოთ. დიახ, ატაცში ბრძოლის დასრულების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ტელეკომენტატორთაგან შეცდომაში შეყვანილი გულშემატკივრები რამდენიმე წუთის განმავლობაში ალალად ხარობდნენ ახალგაზრდა თანამემამულის სენსაციური ტრიუმფით, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ უფრო ადრე გამართულ „ბ“ ჯგუფის ტურნირში მსგავსი წონა — 150 კილო თურმე ვეტერან მასპინძელს ქერიმაჯის დაუძლევია (სხვათა შორის, ორივე მოძრაობაში სხვა ცდები გაფუჭებია) და კონტინენტის ჩემპიონადაც იგი გამოცხადდა, კახის კი პირველი „ვერცხლი“ ხვდა წილად.

დაგვეთანხმებით, მართლაც დასანანია, რომ მთავარი ფავორიტის — ბულგარელი ანდრეევის არყოფნასა და ალბანელთა ტრავმირებული ტიტულოვანი იმედის — ცალიას ფიასკოს ფონზე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის ასეთი ჩინებული შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, მაგრამ არანაკლებ დამაფიქრებელია ჩვენი კოლეგების, რბილად რომ ვთქვათ, გაუთვითცნობიერებლობა, რაც მასშტაბური რანგის ფორუმის პირდაპირი რეპორტაჟის ეთერში გაძღოლისას დებულების ელემენტარული პუნქტის არცოდნაში გამოიხატა.

სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ ქართულ დელეგაციას ჯილდოს მომტანი მესამე ცდის დადებითად შესაფასებლად მსაჯთა თავდაპირველი უარყოფითი გადაწყვეტილების გაპროტესტება მოუწია, თორემ სურვილი სურვილად დაგვრჩებოდა. რაც შეეხება აკვრას, ასანიძეებმა მძაფრ ტაქტიკურ ბრძოლაში ღირსეულად მოიხვეჭეს „ბრინჯაო“, ორჭიდში კი „ოქროს“ სადარი მეორე „ვერცხლი“ გამოჭედეს!

აღსანიშნავია, რომ მსაჯებთან უთანასწორო შერკინება, რომლებმაც რამდენიმე ცდა არ შეუფასეს, ორი მედლით დააგვირგვინა პოლონელმა შტანგისტმა კუდლაშჩიკმა, რომელიც აწ გარდაცვლილი **ვანო გრიქუროვის** აღზრდილი ყოფილა.

**ატაცი**. ქერიმაჯი, ასანიძე — 150-150, ოზბეკი (თურქეთი) — 149;

**აკვრა.** ოზბეკი — 190, კუდლაშჩიკი — 181, ასანიძე — 176;

**ორჭიდი.** ოზბეკი — 339, ასანიძე — 326, კუდლაშჩიკი — 324 კილოგრამი.

◉ ტატამზე

# სრული კვოტით

**დღეიდან თბილისი ძიუდოისტთა სამდღიან გრანდ სლემს მეორედ (ადრე გრან პრის სტატუსი ჰქონდა), ხოლო მაყურებელთა თანდასწრებით — პირველად უმასპინძლებს, რადგან შარშან ამის მიზეზი კოვიდ-პანდემია გახდა.**

პრესტიჟულ ტურნირზე 4 კონტინენტის 38 ქვეყნის ტატამის 287 ოსტატი დარეგისტრირდა — 179 ვაჟებში და 108 ქალებში, მათ შორის 28 „ჯვაროსანი“ ევროპის გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელის **ლაშა გუჯეჯიანის** თავკაცობით (მაქსიმალური კვოტა — თითოეულ წონაში 4-4 წარმომადგენელი), 25 ყაზახი, 22 ფრანგი, 20 ბრაზილიელი და 4 იაპონელი. სამწუხაროდ, ტრავმების გამო ამჯერად ვერ იჭიდავებენ გურამ თუშიშვილი, ლუკა მაისურაძე და ვლადიმერ ახალკაცი, აგრეთვე — ვარლამ ლიპარტელიანი, თუმცა ჩვენი ნაკრების განაცხადი მაინც შთამბეჭდავია:



### ვაჟთა გუნდი

**60 კგ.** ჩხვიმიანი, პაპინაშვილი, ნოზაძე, სარდალაშვილი. **66 კგ.** მარგველაშვილი, თუთაშვილი, ნადირაძე, კაპანაძე. **73 კგ.** შავდთათუაშვილი, ტერაშვილი, ჩიხელიძე, გიგანი. **81 კგ.** გრიგალაშვილი, გოჩილაძე, გუგავა, შერაზადიშვილი. **90 კგ.** მარგიანი, პაპუნაშვილი, გოგოლაძე, ღვინიაშვილი. **100 კგ.** სულამანიძე, სანებლიძე, საური, ბერიაშვილი. **+100 კგ.** ზაალიშვილი, მატიაშვილი, ქავთარაძე, ბუღაძე.

### ქალთა გუნდი

**48 კგ.** ყიფშიძე. **52 კგ.** მახარაშვილი, ლოლაძე. **57 კგ.** ლიპარტელიანი, მჭედლიშვილი, წიკლაური. **63 კგ.** უთნელიშვილი, ციხელაშვილი. **70 კგ.** სილაგაძე. **78 კგ.** ჭანტურია. **+78 კგ.** სომხიშვილი.

დავძენთ, რომ ოლიმპიურ სასახლეში მისულ სტუმრებს ბილეთებში 10 და მეტი ლარის გადახდა მოუწევთ, ხოლო ფინალური ბლოკი სამივე დღეს 17 საათიდან დაიწყება.

◉ ოვალური ბურთი

# საამაყო სტრიქონები

**უკვე გაუწყეთ ქართველ ლეგიონერთა ფრანგული კლუბების ტრიუმფზე ევროტურნირებში, მაგრამ მათ შორისაც კი გამორჩეულად კაშკაშებს „ლიონის“ ჩელენჯ კაპზე მიღწეულ წარმატებაში დავით ნინიაშვილის შეტანილი ვარსკვლავური წვლილი.**



ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ 19 წლის ვუნდერკინდის შესახებ გამოთქმული ძვირფასი შეფასებები:

იან რუბერი — „ლიონის“ პრეზიდენტი: **„დავით ნინიაშვილი ყოველმხრივ წარმოუდგენლად კარგი მორაგბეა. ის 19 წლისაა, ქართველია და გარემარბად თამაშობს. ნინიაშვილი ლიონში სამწვრთნელო ცენტრის ხელმძღვანელის ფილიპ აგოსტინის ინიციატივით მოვიწვიეთ, რომელმაც მისი თამაშის რამდენიმე ვიდეო ნახა და შემოგვთავაზა, ჩვენი კლუბის რეზერვში ეასპარეზა, თუმცა მალევე მივხვდით, რომ მას გაცილებით მაღალ დონეზე შეუძლია თავის წარმოჩენა“.**

ბატისტ კუიუ — გუნდის ვიცე-კაპიტანი: **„ყველამ ვიცით მისი შესაძლებლობების შესახებ. დავითი სეზონის დასაწყისიდანვე შთამბეჭდავად თამაშობს. ის ყოველთვით შესანიშნავია ჩვენ გვერდით ბრძოლისას. ძალიან მიხარია, რომ მან არც ამჯერად დაგაღალატა“.**

„მიდი ოლიმპიკი“ — ყოველდღიური სარაგბო გაზეთი: **„ქართველ გარემარბს წარმოუდგენელი ნებისყოფა და იშვიათი სისწრაფე აქვს. მან თამაშის განმავლობაში არაერთხელ დაჩაგრა უშუალო მეურვე, სამხრეთაფრიკელი მსოფლიოს თასის მფლობელი ჩესლინ კოლბი, ამ უკანასკნელის თანამემამულე ებენ ეცებეთი კი მინდორზე დაანარცხა, რაც ყველას არ შეუძლია. სამწუხაროა, რომ დავითს პირველ ტაიმში დადებული ლელო არ ჩაუთვალეს, რომელიც არბიტრმა კიდის ხაზზე ფეხის დაბიჯების მოტივით გაუუქმა“.**

◉ ფარქვეშ

# ოკეანის გაღმა-გამოღმა

**რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ თორნიკე შენგელიამ სწორი არჩევანი გააკეთა, როცა კარიერა იტალიაში გააგრძელა.**

მოგეხსენებათ, მას არც ტიტულები აკლია — მარტო „ბასკონიას“ შემადგენლობაში ევროპაში უძლიერეს ესპანურ ლიგა-ენდესაში გამარჯვება როგორი ფასეულია, მაგრამ „ვირტუსის“ მაისურით ევროთასის მოგება და სკუდეტოს დაუფლების რეალური შანსი, დაგვეთანხმებით, მაინც სხვაა — დუბლზე ხომ ყველა ოცნებობს.



ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბოლონიელები უკვე ფინალში არიან და მათი მომავალი მეტოქე „მილანი“ იქნება, რომელმაც პლეი-ოფის სერიაში „სასარი“ 3:0 დაჯაბნა. რაც შეეხება „ტორტონასთან“ 3:0 გასეირნების დასკვნით მატჩს, რომელიც უკვე სტუმრად 77:68 დამთავრდა, „ჯვაროსანთა“ კაპიტანი 27 წუთში პარტნიორებს 14 ქულით, 6 მოხსნითა და 2 შედეგიანი გადაცემით შეეწია.

სამწუხაროდ, საკლუბო სეზონი მეოთხედფინალში 1:2 წაგებით დაასრულა **გიორგი შერმადინის** „ტენერიფემ“, რომელმაც პირენეებზე პირწმინდად დათმო გადამწყვეტი შეხვედრა ბადალონას „;ხუვენტუდთან“ — 58:81. კუნძულელთა ქართველი ლიდერი ამჯერად მხოლოდ 8 ქულითა და 9 მოხსნით დაკმაყოფილდა.

ნახევარფინალში მეტოქეni ასე დაწყვილდნენ: „რეალი“ — „ბასკონია“, „ბარსელონა“ — „ხუვენტუდი“.

ამასობაში კვლავ შეგვახსენა თავი უბერებელმა ვეტერანმა **ნიკა ცქიტიშვილმა,** რომელიც ნბა-ის 2003 წლის დრაფტზე მე-5 ნომრად „დენვერმა“ აიყვანა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ექვსი სეზონი გაატარა.

ჩვენი თანამემამულე ბიგ-3 პოპულარულ ტურნირში გუნდ „პაუერის“ შემადგენლობაში 18 ივლისიდან (ჩიკაგო) 4 სექტემბრამდე (ბაჰამის კუნძულები) ითამაშებს ისეთი ვარსკვლავების მხარდამხარ, როგორიც ჯონსონი, კროუფორდი, ბარბოსა, ბრიუერი, გრინი და ჩელმერსი არიან, მწვრთნელობას კი მას ნენსი ლიბერმანი გაუწევს.

მნიშვნელოვანი სიახლეა „ლოს ანჯელეს ლეიკერზში“, რომელიც ფრენკ ფოგელის ნაცვლად მიწვეულ დარვინ ჰემთან ოთხწლიან სამწვრთნელო კონტრაქტს გააფორმებს. იგი ნბა-ს 2004 წლის ჩემპიონია „დეტროიტში“.

◉ ტყავის ბურთი

# ომი და მშვიდობა

**უკრაინა ზედიზედ მეხუთედ თამაშობს მუნდიალის პლეი-ოფში, მაგრამ რუსული აგრესიის გამო წლევანდელ შეხვედრებს ღირსების მატჩების დატვირთვა ამკობს.**

გლაზგოში შოტლანდიასთან 3:1 გამარჯვებამ **ალექსანდრ პეტრაკოვის** გუნდი ყატარული ფორუმის ზღურბლამდე მიიყვანა **(იარმოლენკო, იარემჩუკი, დოვბიკი; მაკგრეგორი)**. გადამწყვეტ ბრძოლას „ლურჯ-ყვითლები“ კვირას კარდიფში უელსთან გადაიტანენ, რომელიც ერთა ლიგის სტარტზე პოლონეთში დამარცხდა — 1:2.





გაირკვა „ფინალისიმას“ მესამე გათამაშების საუკეთესო ნაკრებიც. ესაა ორი საგოლე გადაცემის ავტორ მესის არგენტინა, რომელმაც კოპა ამერიკის ტრიუმფატორის რანგში ევროპის ჩემპიონ იტალიას მწარე გაკვეთილი ჩაუტარა — 3:0 და 1993 წლის შემდეგ (მაშინ პენალტებით დანიას სძლია) მეორედ ავიდა ოლიმპზე, ამ ტურნირის პირველი ლაურეატი კი 1985 წელს საფრანგეთი გახდა — 2:0 ურუგვაისთან.

# ელენე დარიანის შესახებ



**გამოვიდა ბაია ბასილაძის წიგნი „ცისფერყანწელთა მისტიფიკაციური ფორმულა“ (2022).**

მასში მიმოხილულია ელენე ბაქრაძის, სავარაუდო ელენე დარიანის, შემოქმედებითი ნიმუშები: ლექსები, თარგმნილი პოეტური ტექსტები, პროზა; ნაჩვენებია მათი ავ-კარგი, მხატვრულ-ემოციური ძალა, მოცემულია წინასწარი დასკვნა: ამ ძალის ორიგინალური ქმნილებების შემქმნელს, ამგვარი თარგმანების ავტორს თავისუფლად შეეძლო დაეწერაო „დარიანული ციკლის“ პირველსახე ლექსები. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გამოკვლევისა ეთმობა იმის გარკვევას, თუ რა სახის ლექსები ჩააბარა ელი ბაქრაძემ პაოლო იაშვილს და რა შესწორებები შეუტანია მათში ლექსის დიდოსტატს. ფაქიზი სტილისტურ-ენობრივი ანალიზის შემდეგ ავტორი აცხადებს: ელენე ბაქრაძის საკმაოდ საინტერესო და გაბედულ ტექსტებს პაოლომ მიანიჭა მეტი ეროტიკა, მეტი ქალური ელემენტი და ისე გამოაქვეყნაო. წიგნის ავტორი მიდის დასკვნამდე, რომელიც გამოუხატავს თავისებური „მისტიფიკაციური“ ფორმულით: **„ელენე ბაქრაძე+პაოლო იაშვილი= ელენე დარიანს“.**




მკვლევრის აზრით, დღეიდან „დარიანული ლექსების“ ციკლს ხელი უნდა მოაწეროს ორმა პოეტმა — **ელენე დარიანმა** და **პაოლო იაშვილმა**.

წიგნის რედაქტორია პროფ. **ქეთევან თავდიშვილი**.

**გურამ წიკლაური**

# პირველი ივლისიდან თბილისსა და რეგიონებში ბიზნესს გაზი უძვირდება!

**1 ივლისიდან თბილისსა და რეგიონებში, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის გაზის გადასახადი ძვირდება.**

— ბოლო პერიოდში ბუნებრივი გაზის ფასი მსოფლიო ბაზარზე მკვეთრად გაიზარდა და ზრდის ტენდენცია დღემდე შენარჩუნებულია. მიუხედავად ამისა, ქართული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის, შპს „თბილისი ენერჯი“ დღემდე ცდილობდა საკუთარი რესურსებით დაებალანსებინა ბუნებრივი გაზის შესაძენ და სარეალიზაციო ფასებს შორის წარმოქმნილი სხვაობა, რათა თავიდან აერიდებინა ტარიფის გაზრდა. იმის გათვალისწინებით, რომ არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების გაზის შესასყიდი ფასი 2022 წლის 1 ივლისიდან შპს „თბილისი ენერჯისთვის“ კვლავ იზრდება, კომპანია იძულებულია არასაყოფაცხოვრებო აბონენტებისთვის ფასი დააკორექტიროს, რათა არ შეფერხდეს ბუნებრივი გაზის შესყიდვის პროცესი და მომხმარებლების უწყვეტი გაზმომარაგება. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2022 წლის 1 ივლისიდან კომპანიის არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასი ერთ კუბურ მეტრზე განისაზღვრება 1.35 (ერთი ლარი და 35 თეთრი) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.“**

ბუნებრივ აირის საფასური ეზრდებათ რეგიონებშიც. 2022 წლის 1ივლისიდან ბიზნესი გაზში უფრო მეტს გადაიხდის. შპს “თელავგაზის“, “სოკარ ჯორჯია გაზის“, „საქორგგაზის“ და „ინტერ გაზის“ საცალო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 1,38 ლარი იქნება დღგ-ს ჩათვლით. განცხადებები თავად კომპანიებმა გაავრცელეს.

**„სოკარ ჯორჯია გაზმა“, „თელავი გაზმა“ და „ინტერ გაზმა“ ტარიფი ბოლოს 2021 წლის 1 დეკემბრიდან გაზარდეს და დღემდე — 1მ3 გაზის ფასი ყველა ბიზნეს-აბონენტისთვის 1.15 ლარი იყო დღგ-ს ჩათვლით.**

# ყველაზე მეტი მომხმარებელი „მაგთიკომს“ ჰყავს!

საქართველოში მობილური მომსახურების ბაზარზე პენეტრაცია ბოლო ხუთი წლის მანძილზე მაქსიმალურ მაჩვენებელზეა და 160%-ს შეადგენს, — ამის შესახებ ინფორმაციას კომუნიკაციების კომისია ავრცელებს.

**„მობილური აბონენტების რაოდენობამ 2021 წლის ბოლოს 5.55 მლნ შეადგინა. აბონენტების რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ ერთ მომხმარებელს ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა ზუსტად იციან ბაზარზე არსებული ტარიფები და საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მისთვის ხელსაყრელ ქსელს იყენებენ.**

**2021 წელს აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით ასე გადანაწილდა: „მაგთიკომი“ — 42%, „სილქნეტი“ — 33%, ხოლო „ბილაინი“ — 25%.**

**2021 წელს მობილურ კავშირზე „მაგთიკომის“ ერთმა აბონენტმა თვეში საშუალოდ 10.9 ლარი დახარჯა, „სილქნეტის“ აბონენტმა — 10.1 ლარი, ხოლო** ყველაზე ნაკლები 6.8 ლარი „ბილაინის“ აბონენტმა“, — აცხადებენ კომისიაში.

# პროკურატურამ გალიფ ოზთურქს ბრალდება წარუდგინა

**საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის და შენახვის ფაქტზე, ბათუმში, ერთ-ერთი კომპანიის დამფუძნებელს, გალიფ ოზთურქს ბრალდება წარუდგინა.**



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 31 მაისს, ბათუმში, გ.ო.-ს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 7,2159 გრ. ნარკოტიკული საშუალება კოკაინი. სამართალდამცველებმა გ.ო. იმავე დღეს დააკავეს...

## სულთათანა



# ილია ელოშვილი

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი და საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქ. თბილისის ვიცე-მერის ილია ელოშვილის გარდაცვალების გამო. უსამძიმრებენ მის ოჯახს, კოლეგებს და ახლობლებს ამ დიდ დანაკარგს.**

**ილია ელოშვილი დაიბადა 1975წ. 19 მაისს ქ.თბილისში. 1999წ. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სპეციალობით საერთაშორისო ბიზნესის სამართალი, 2005 წელს. უტრეხტის (ჰოლანდია) პროფესიული განათლების უნივერსიტეტი და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი. 2007-2009წწ. სწავლობდა MCC უნივერსიტეტში, 2011წ. აშშ-ის სამხედრო ინჟინრების ასოციაციაში, სადაც მიენიჭა ზედამხედველობის სპეციალისტის ხარისხი. 2010წ. გაიარა დავათა მოგვარების საბჭოს ფედერაციის (ლუქსემბურგი) FIIC-ის კონტრაქტების სრული პროგრამა. 2000-2003წწ. მუშაობდა შპს „ოსტორ — ნიდერლანდები“ კონსულტანტად. 2003-2004წწ. იყო შპს „გორგასალის“ კომერციული მენეჯერი. 2004-2006წწ. შპს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის („PA Consulting Group“) ჯერ — დასავლეთის ცენტრალური რეგიონის, შემდეგ კი დასავლეთ რეგიონის დირექტორი; 2006-2007წწ. — ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის დირექტორი და მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი. 2007-2008წწ. იყო შპს „ვისოლ პეტროლიუმის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და გენერალური დირექტორი. 2010-2011წწ. შპს „ნიუ ენერჯის“ ტექნიკური დირექტორი. 2011-2012წწ. მუშაობდა ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (SI) პროექტი Tetra Tech Inc-ი ხელმძღვანელის მოადგილედ; 2013-2017წწ. იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე. 2017 წლიდან დღემდე იყო თბილისის ვიცე-მერი.**

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი,**

**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი**

# მარტოხელა მშობლის სტატუსი ახალი წესით განისაზღვრება

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილება, რომელიც მარტოხელა დედისა და მარტოხელა მამის ტერმინის განმარტების ცვლილებას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად, მარტოხელა დედა/მარტოხელა მამა არის პირი:**

**რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მეორე მშობლის შესახებ; რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მეორე მშობლის შესახებ; თუკი მისი არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; თუკი მისი არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელს ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.**

**კომიტეტის წევრის, რატი იონათამიშვილის განმარტებით, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების შინაარსის კანონში ასახვა, კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ამ საკითხის სათანადოდ მოწესრიგება. მისივე თქმით, შესაბამისი ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი გავრცელდება როგორც მარტოხელა დედაზე, ასევე — მარტოხელა მამაზეც. კერძოდ, მოქმედი ნორმით, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მარტოხელა დედის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე. სწორედ, აღნიშნული შეღავათით ისარგებლებენ მარტოხელა მამის სტატუსის მიმღები პირებიც.**

# ამბავთა ჯაგანი



პოეტის ახალი ლექსი



## ვანო ჩხიკვაძე:

# ღილაკი

გინდაც იყოს ჩაფხუტი,
გინდაც პაპის ტიარა,
ერთ სამარხში თავს უკრავს თუკი დაიგრიალა.

სულ ამაოდ დარეკენ კურანტები: – „დაიჭი!“
დნეპრისპირებს გადაძოვს მაინც ბულბას ტაიჭი.

ილიჩის იმპერიის გადამწვარი ნათურა,
უნდათ ისევ აანთონ – დაამგვანონ „ნატურას“.

საღი თვალი საფლავში უთამაშებს კუტუზოვს-
„ფლეში“ როგორ ივარგებს ყოვლისშემძლე „უტუზოდ“.

აირია აღლუმის აწყობილი „ბოლერო“,
რაც ლიახვისპირელი ბიჭი ვეღარ „გორელობს“.

ეს ცა ესიზმრებოდა „ლაითინგს“ და „მესერშმიტს“ –
ერკემალი კრემლიდან გაჭედილი მესერში,

ყოვლიშემძლე ღილაკზე თუ არ დააპაუზებს,
მოანატრებს მსოფლიოს ნავთქურას და მაუზერს!

კეჭნაობენ აქამდე აღსავალის ბულვარში,
ბუდიონის ულვაში,
ტარას ბულბას ულვაში...

არ ღალატობს ევროპა
ძველ, საძრახის „ხელობას“,
ჩრდილოელი პითონი
თითქოს ნიშანს ელოდა –
ეჰ, ბრიუსელ,
ბრიუსელ,
ტყვიას მკერდს თუ მიუშვერ,
ვინმე „დემოკრატიას“
ქოფაკებს თუ მიუქსევს!

რა მოხდება, ხელებს თუ
გადაიბანს პილატე,
თუკი თავის ცოდვილ სულს
წამოჰკიდებს ღილაკებს!

გინდაც იყოს ჩაფხუტი,
გინდაც პაპის ტიარა,
უფალიც ვერ უწამლებს
დედამიწის იარას –
დაიმსხვრევა საწუთროს
უკვდავების ფიალა –
თუკი დაიგრიალა,
თუკი დაიგრიალა!

## „სილამაზის ყირიმე-ლი დედოფალი“ - ჟიურის მოსწონს, ხალხს - არა...



**ოკუპირებულ ყირიმში კონკურსი „სილამაზის დედოფალი 2022“ ჩატარდა. მისი გამარჯვებული 34 წლის ოლგა ვალეევა გახდა.**

ვალეევას გამარჯვებას სოციალურ ქსელებში რეზონანსი მოჰყვა – ინტერნეტმომხმარებლების ნაწილს ჟიურის არჩევანი არ მოსწონს და მიიჩნევს, რომ ქალი ამ ტიტულს არ იმსახურებდა. კონკურსში 20 კონკურსანტი მონაწილეობდა.

## სასამართლო პროცესი მოიგო

**ჯონი დეპმა ემბერ ჰერდის წინააღმდეგ ცილისწამების საქმეზე სასამართლო პროცესი მოიგო. ნაფიცმა მსაჯულებმა დაადგინეს, რომ ჯონი დეპმა კომპენსაციის სახით 10 მილიონი დოლარი და საჯარიმო ზარალის სახით 5 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.**

აღსანიშნავია, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ჯონი დეპს საჩივრის ყველა პუნქტი არ დაუკმაყოფილეს და მან კომპენსაციის სახით ემბერ ჰერდს 2 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.



ემბერ ჰერდი და ჯონი დეპი 2016 წელს დაქორწინდნენ, შემდეგ კი ჰერდმა ყოფილი ქმარი ოჯახურ ძალადობაში დაადანაშაულა. ამ ბრალდების შემდეგ მედიაში დეპზე ნეგატიური მასალები გამოქვეყნდა. დეპმა გამოცემა The Sun-ს უჩივლა, რომელშიც ის მოიხსენიეს როგორც კაცი, რომელიც ცოლს სცემს. მსახიობმა სასამართლო პროცესი წააგო. 2021 წელს კი სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დეპის საჩივარი, რომელმაც ცოლს სიცრუეში და საქველმოქმედო თანხების გაფლანგვაში დაადანაშაულა. სკანდალის გამო დეპმა დაკარგა როლები „ფანტასტიკურ ცხოველებსა“ და „კარიბის ზღვის მეკობრეებში“.

**დღის აფორიზმი**

*– ვიხაროდენ, რომ ცოლმა შენ ვიდალაცა და არა სამშობლოს.*

## უკრაინას თანამედროვე იარაღს უგზავნიან

**დიდი ბრიტანეთი უკრაინას ამერიკული წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს M270-ს გადასცემს.** ამის შესახებ ბრიტანეთის თავდაცვის მდივანმა ბენ უოლესმა განაცხადა. ამერიკული წარმოების იარაღის მესამე ქვეყნისთვის გადაცემას ვაშინგტონის თანხმობა სჭირდება. სწორედ ამ თანხმობის მისაღებად ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს 1 ივნისს ესაუბრა. Politico-ს ინფორმაციით, ბაიდენის ადმინისტრაცია ბრიტანეთს „თითქმის უკვე დათანხმდა“.



Politico-ს ცნობით, HIMARS-სა და M270-ს აქვთ მსგავსი შესაძლებლობები და დიაპაზონი, მაგრამ HIMARS არის მსუბუქი ვერსია, რომელიც ბორბლებით გადაადგილდება 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით. მისი გამოყენებისას უკრაინელებს აქვთ შესაძლებლობა გახსნან ცეცხლი და სწრაფად გადაადგილდნენ გასროლის ადგილიდან, სანამ რუსული თვითმფრინავები მათ აღმოაჩენენ.

„270-ი მუხლუხოთი გადაადგილდება, რაც ნიშნავს, რომ ის უფრო ნელია ვიდრე HIMARS. მაგრამ ამავე დროს, HIMARS-ს შეუძლია ერთდროულად გაუშვას ექვსი რაკეტა, ხოლო MLRS – თორმეტი. MLRS-ის რაკეტების მოქმედების არეალი დაახლოებით 80 კილომეტრია.

* * *

**ლიეტუვამ „ბაირაქტარის“ უპილოტო საფრენი აპარატის შესაძენად თურქეთთან ხელშეკრულება გააფორმა. ვილნიუსი უპილოტო საფრენი აპარატის გადაცემას უკრაინისთვის გეგმავს. ინფორმაციას ლიეტუვური მედია ავრცელებს.**

სწორედ ამ მიზნით, რიგითმა ლიეტუველებმა, ერთ-ერთი ტელეწამყვანის მოწოდების საფუძველზე, სამ დღეში ხუთ მილიონამდე ევროს მობილიზება შეძლეს. გავრცელებული ინფორმაციით, რეალიზაციის შეთანხმებაზე დოკუმენტს ლიეტუვის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვილიუს სემეშკამ და თურქეთის თავდაცვითი მრეწველობის სააგენტოს ხელმძღვანელმა მოაწერეს ხელი.





საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0307; ევრო - 3.2477
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8175;
100 რუბლი - 4.8440; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7874;
1000 სომხური დრამი - 6.8316.

**ამინდი 3 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +34 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე +34 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge